ეროვნული ბიბლიოთეკა



# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 თებერვალი 2002 №23 (1545) ფასი 50 თეთრი





REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ორი ოლიმპიური ოქროს პატრონი სიმონ ამანი უბედნიერესი კაცია

## აი, ამან ტრამპლინიდან ხტომა გაასიმონა

### უჩინო შვეიცარიელს ნაოცნებარი კი არა, უოცნებარიც აუხდა, ბიორნდალენის ორი ოქრო კი ლოგიკის ამბავია



ბიათლონის კლასიკოსს ოლე ეინარ ბიორნდალენს კარიერა ოლიმპიურმა ოქროს დუბლმაც დაუმშვენა

ამ ოცნებას ამერიკული კი არა, უბრალოდ ოცნება ჰქვია: იყო უჩინო და ერთ, დიახაც, მშვენიერ დღეს მთელმა მსოფლიომ დაგინახოს და დაგიმახსოვროს. შვეიცარიელ სიმონ ამანს ყველაზე ფერად სიზმარში არ მოელანდებოდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონობა, ცხადი კი სიზმარზე კეთილი გამოდგა. გუშინ ამანმა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე გრძელი, 120-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა მოიგო, ოქრო იმ ოქროს მიამატა, რომელიც 90-მეტრიან ტრამპლინზე გამარჯვებისთვის ჩამოჰკიდეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლა მსოფლიოში უბედნიერესი კაცია. თითქმის იგივე ითქმის ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენზე. ეს ბიათლონისტი არც ადრე უჩიოდა უტიტულობას, მაგრამ ოლიმპიური დუბლი წუხელ პირველად შეასრულა.

დაღვრემით არ იქნება ქართველი ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანიძეც. მოკლე პროგრამის საკვალიფიკაციო ეტაპზე 29 სპორტსმენიდან 24 უნდა დარჩენილიყო. შემადგენლობა ძლიერი გახლდათ და როგორც ქართველთა ოლიმპიური დელეგაციის თავკაცმა, ირაკლი ჯაფარიძემ შეგვატყობინა, ჩვენებმა გვარიანი ინერვიულეს. შედეგს არა უშავს: მურვანიძემ მე-18 ადგილი დაიკავა, სრიალს აგრძელებს და მეტის შანსი აქვს.

მოიწყინეს კი რუსის მოთხილამურე ქალებმა. ეს უკვე მეორედ მათი გუნდური მცდელობანი ამაო იყო, 10 კილომეტრზე კლასიკურ რბოლაში პირველობა ნორვეგიელ ბენტე სკარის დაუთმეს.

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები

## მაკარტიმ რუსეთს და ჩივაძეს ფოკუსი აურია: ირლანდია ორად მოაჩვენა

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და იქ წამსვლელები დროს უქმად არ კარგავენ — ამხანაგურად თამაშობენ. გუშინ ერთი ასეთი ამხანაგური დღე იყო.

მაგრამ გუშინ სხვებმაც ითამაშეს, მათ, ვისაც მუნდიალზე არაფერი ესაქმებათ და უფრო შორს, მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის აქედანვე იწყებენ მზადებას. დახეთ, საერთო ფერხულში მალტა და ლუქსემბურგიც ჩაბმულან.

და სად იყო ამ დროს საქართველოს ნაკრები? რომ ვთქვათ, ჩვენებს გავარჯიშება რაში სჭირდებათო, დიდი სითამამე იქნება, ამიტომ ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მომავალ მეტოქეებს გუნდი შეგნებულად დაუმალა, სამაგიეროდ, მათ დასაზვერად მწვრთნელი გაუშვა.

გუშინდელი მატჩებიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ირლანდია — რუსეთი იყო და ალექსანდრე ჩივაძეც ამ თამაშს დაესწრო. მისმა კოლეგებმა, მიკ მაკარტიმ და ოლეგ რომანცევმა კი ძალიან მიჰქარეს — ჩივაძეს მთელი არსენალი გადაუშალეს — ირლანდიელმა 23 ფეხბურთელი ათამაშა, რუსმა კი თხუთმეტი.

თუ ვითარების „პოლიტიზირებაში" არ ჩაგვეთვლება, შევნიშნავთ, რომ რუსეთი დამარცხდა და როცა ჩრდილოელ მეზობელთან მოგვიწევს შეხვედრები, ეგებ, ჩვენც მოვახერხოთ.

შვეიცარიამ, გუშინწინ პენალტებით კვიპროსთან რომ დამარცხდა, წუხელ უნგრეთს მოუგო, მთლიანობაში კი ისე ითამაშა, დიდი არაფერი გუნდი ჩანს.

ალბანეთი კი ვერაფერს გახდა ლუქსემბურგთან და, წესით, მისი დამარცხება არ უნდა გაგვიჭირდეს.

მოკლედ, ასეა, ჩვენი მომავალი მეტოქეების გუშინდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპზე მათთან არ უნდა შევრცხვეთ და ვინძლო, ირლანდიასაც ღირსეულად ვეთამაშოთ. ერთი ეგაა, საქართველოს ნაკრებს რა ჰქონდა დასამალი?

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი





REUTERS დუბლინიდან

ირლანდია — რუსეთი. რობი კინის გატანილი მეორე ირლანდიური გოლი რუსების კარში

*თუ თქვენ დღევანდელი „სარბიელის" წაკითხვა საღამომდე დაგიგვიანდათ, ის, რაზეც ქვევითაა მოთხრობილი, ეგებ, უკვე მოძველებულიც აღმოჩნდეს. თუმცა ამის შანსი იმაზე უფრო მცირეა, ვიდრე იმისა, რომ თქვენ დღეს ჩვენი გაზეთი არ შეგიძენიათ, მაგრამ ამ წერილს მაინც კითხულობთ. სამაგიეროდ, დიდი შანსია, თბილისის „მერანის" ფეხბურთელებმა კლუბის დამფუძნებლებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უჩივლონ.*

*საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოირიცხება, თუ კლუბის ხელმძღვანელობა გუნდს 3 თვის დავალიანებას საღამოს 5 საათამდე აუნაზღაურებს. თუმცა, „მერანის" პრეზიდენტის, დავით ფურცელაძის თქმით, სიტუაცია საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი იური სევასტიანოვი თბილისში მომავალ კვირაში რომ ჩამოვა. მოთამაშეებს ამდენი დაპირება ყელში ამოსვლიათ და კიდევ ცდა აღარ შეუძლიათ.*

# მერანს რეკ-ი მერეკება

## ავჭალაში მენაგვეებს სფფ-სთან უჩივიან

— სევასტიანოვი და ჟილენკოვი კლუბს 2000 წლის აგვისტოდან აფინანსებენ, მაგრამ ხელშეკრულება მხოლოდ დეკემბერში, მას შემდეგ გაფორმდა, რაც კლუბის ხელახალი რეგისტრაცია მოხდა. „მერანს" აქციები არ გაუყიდია და მოსკოველებმაც კლუბი ხელში უსასყიდლოდ იმ პირობით ჩაიგდეს, რომ ყველანაირ ხარჯს თავად გაიღებდნენ. შევთანხმდით ყოველთვიურ ბიუჯეტზე, რომელშიც თავიდან არაფერი იგულისხმებოდა, მოთამაშეთა ხელფას-პრემიების და კვება-მგზავრობის გარდა.

პრეზიდენტის, მთავარი მწვრთნელის, მენეჯერის და თბილისში რუსული მხარის წარმომადგენლის, იური სევასტიანოვის გასამრჯელო კი ჩემპიონატში სამონაწილეო თანხასთან ერთად კლუბის სამი მეოთხედის მოწილესვე უნდა გადაეხადა.

ამ პიროვნებათა ხელფასების გადმოგზავნა 2001 წლის თებერვლიდან შეწყდა და ამიტომ წლის ბოლომდე ყოველთვიურ ბიუჯეტს აკლდებოდა. ამიტომაც ბანკისგან პროცენტიანი სესხი ავიღეთ, რომელიც გუნდს მოხმარდა. გადახარჯვა კარგმა შედეგმა გამოიწვია. მესამე ადგილზე გასულ გუნდს პრემიაც მეტი დასჭირდა. ყველა დახარჯულ კაპიკს კი ზურგს საბუთი უმაგრებს. არ ვიცი თუნდაც კლუბის 75 პროცენტის პატრონი რატომ ან როგორ მათავისუფლებს, როცა დამფუძნებლები არ შევკრებილვართ და ფაქსიმილე და ბეჭედიც დღემდე ჩემს ხელთაა — ამბობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი და „მერანის" ქართული ერთი მეოთხედის მოწილე ანზორ მამალაძე.

— საშემოდგომო ეტაპის შემდეგ გუნდი მესამე ადგილზე რომ არ იყოს, ასეთი პრობლემა არც წამოიჭრებოდა. ახლა სევასტიანოვი და ჟილენკოვი ფიქრობენ, რომ პირველი ეტაპის დარჩენილ ოთხ ტურში ზეექვსეულში ადგილის შენარჩუნება ნებისმიერი შემადგენლობით შესაძლებელი იქნება. ამიტომ მათ არ სურთ ზედმეტი ხარჯი. თანახმანი არიან, ის ფეხბურთელები ვინც მესამე ადგილი მოიპოვა, ტრანსფერზე არ დააყენონ, მათში არც კომპენსაცია მოითხოვონ, თუ მოთამაშეები კუთვნილ გასამრჯელოზე უარს იტყვიან. ეს, ცხადია, არ აწყობთ ფეხბურთელებს, რომლებიც დღემდე ჩემი ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ და თუ „მერანიდან" დაითხოვენ, ქუჩაში, ბედის ანაბარა აღმოჩნდებიან. ზოგ მათგანს უკვე ჩაეშალა უკეთეს გუნდში გადასვლის ვარიანტი და ბოლო იმედი ისევ „მერანია". სამაგიეროდ, საკითხის ასე დაყენება აწყობს სევასტიანოვს და ჟილენკოვს, რომელთაც ანთალიაში შეკრებაზე ჰყავთ „გოლეადორი", რომლის ფეხბურთელებსაც „მერანთან" კონტრაქტები მაისში, ანუ მას შემდეგ უმთავრდებათ, როცა სრულწლოვანები, 18 წლისანი ხდებიან. მოსკოველები ფიქრობენ, რომ ჩემპიონატს ამ ბავშვებით ჩაამთავრებენ და მერე ეგებ, მათში სარფიც ნახონ. მაგრამ ამას ჩვენ არ დავუშვებთ — აცხადებს „მერანის" მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია.

რამდენიმე დღის წინ გაბელიამაც და მამალაძემაც იმ გათავისუფლების შესახებ შეიტყვეს, რომელზეც მამალაძემ ილაპარაკა. გუშინ კი გაბელიასთან პირად სატელეფონო საუბარში იური სევასტიანოვმა გაიკვირვა, საიდან მოიტანეთო. ის მთავარ მწვრთნელს თბილისში ჩამოსვლას და სიტუაციის ერთი-ერთში გარკვევას დაჰპირდა. ვერავინ ითვლის, ეს მერამდენე დაპირებაა.

ასეთ მწვავე და გაურკვეველ ვითარებაში კლუბის პრეზიდენტი დავით ფურცელაძე არანაკლებ აღელვებულია, მაგრამ მაინც სიმშვიდის შენარჩუნებაზე ზრუნავს:

— ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი, რომ ფეხბურთელებს თანხა დაუგვიანდათ. ჩემი სურვილია, ყველამ კუთვნილი მიიღოს. იური სევასტიანოვის თბილისში ჩამოსვლამდე რაიმეს დაკონკრეტება გამიჭირდება. შემიძლია, ვთქვა და ვივარაუდო მხოლოდ ერთი: სევასტიანოვის ჩამოსვლა, რომელიც მომავალ კვირაზე შორს არ გადაიდება, სიტუაციას ნათელს მოჰფენს და ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ყველასთვისაა უმჯობესი.

ილოცხლეთ, ურიგო არ იქნებოდა ფურცელაძის ოპტიმიზმის გაზიარება, რომ არა ზოგიერთი დამატებითი გარემოება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ჟილენკოვ-სევასტიანოვს სწორედ მერანელთა გარეკვა და გოლეადორელთა გამერანელება სურთ.



ფოტოც და სურათიც ძველია: მამალაძეს, ფურცელაძეს და გაბელიას სანერვიულო არც აქამდე კლებიათ

ასეთი დასკვნის გამოტანა „გოლეადორის" მწვრთნელ ბონდო კაკუბავას ნაუბრიდანაც შეიძლება, რომელსაც ანთალიაში ტელეფონით დავუკავშირდით.

— ერთ თვეზე მეტია „გოლეადორი" აქ, ანთალიაშია შეკრებაზე. ჩვენთან ერთად ვარჯიშობდნენ მერანელები აკაკი დევაძე, მიხეილ ფოცხვერია, რომეო გოგიტიძე, ზაზა კვეკვესკირი და მალხაზ ჭინჭარაული. თუმცა ახლა აქ მხოლოდ სამი მათგანია: დევაძე ოჯახური პრობლემების გამო თბილისში გამობრუნდა, ფოცხვერია კი სანკტ პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც ექიმმა საბოლოო დიაგნოზი უნდა დაუსვას, ისევ საოპერაციოა თუ არა.

ეს ფეხბურთელები ჩვენმა სპონსორებმა, როგორც ვიცი, აქ გასაყიდად ჩამოიყვანეს, მაგრამ დღემდე ჩვენთან არიან და ამიტომ „მერანი გოლეადორის" სახელით ვეთამაშეთ ძალიან ძლიერ გუნდებს, რომლებთანაც, რა გასაკვირია, წავაგეთ, თურქულ დაბალლიგელთაგან ერთ-ერთს კი მოვუგეთ, ერთს ფრეზე დავუზავდით.

„მერანის" გარშემო ატეხილი აურზაურის გამო ბევრი არაფერი ვიცი. სიტუაცია ალბათ უფრო 20-22 თებერვლისთვის გაირკვევა, როცა თბილისში ჩამოვალთ და გადაწყდება, ისევ ძველებურად გაგრძელდება ჩვენი ვოიაჟები თუ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში „მერანი 2"-ის ადგილზე ვითამაშებთ.

ლაპარაკი უმაღლეს ლიგაში თამაშზეც იყო, მაგრამ მე ვიუარე. ჯერ ადრეა 1984 წელს დაბადებულთათვის უმაღლეს ლიგაში თამაში. მათ დრო სჭირდებათ — გვითხრა ბონდო კაკუბავამ.

კითხვაზე, რა პასუხს გასცემდა ჟილენკოვს და სევასტიანოვს, გაბელიას შემცვლელობა მისთვის ულტიმატუმად რომ წაეყენებინათ, კაკუბავას პასუხი დაუგვიანდა:

— ეს ასე უცებ გადასაწყვეტი საკითხი არ არის, საფიქრალია. [illegible] წელია ფეხბურთში ვარ და ისეთ რამეს არ ვიზამ, რაც არ მეკადრება. სად უნდა მივიდე, როცა კაცი მუშაობს... რომ მდომოდა, „მერანის" მწვრთნელობა მე გაბელიამდე შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, ბავშვებთან მუშაობა ვარჩიე — დასძინა ბატონმა ბონდომ.

ერთი სიტყვით, ამ ამბავს თავი არ უჩანს და ბოლოს რომ ხვალვე ვერავინ უნახავს, ძნელი მისახვედრი არ არის.

ფაქტია, „მერანის" ფეხბურთელების უმეტესობა თბილისში უხელფასოდ ზის მაშინ, როცა უმცირესობას პლუს „გოლეადორი" ანთალიაში, თვეზე მეტია, შეკრებაზეა.

ის დავალიანებაც, რაც მოთამაშეთა წინაშე კლუბს აქვს, ზოგი 2-3 ქართული კლუბის 1 თვის ბიუჯეტია და საეჭვოა, აქ საქმე ფინანსურ პრობლემაში იყოს. უფრო სავარაუდო ის ვერსიაა, რომელიც თურქეთში „გოლეადორის" „მერანის" სახელით ათამაშებამ გაამყარა. რუსული მხარე ძველ მოთამაშეთა დათხოვნას აპირებს და თანვე დროის გაყვანის ტაქტიკას ისე ხვეწს, მათ არათუ უგუნდოდ და უმუშევრად, სულაც ულუკმაპუროდ ტოვებს. სხვა სიტუაციაშიც, სხვა დროსაც ფეხბურთელებთან ასე მოქცევა კლუბს იოლად არ გაუვიდოდა. თუმცა მსგავსი რამ შარშან გაუვიდა „ბათუმს", რომელმაც ერთბაშად 6 მოთამაშე შუა სეზონში დაითხოვა. და მაინც, „მერანის" სიტუაცია სხვაა: ითხოვენ ფეხბურთელებს იმისთვის, რომ მათ, რომლებსაც არცერთი მატჩის წინა დღეს შეკრება არ გაუვლიათ, მესამე ადგილი დაიკავეს.

ითხოვენ მწვრთნელს, რომელმაც ეს შედეგი უფრო მოთამაშეთა ენთუზიაზმის და საკუთარი ცოდნის ხარჯზე გამოჭედა. მიზეზად კი ის მოუდეს, უარი რატომ თქვი იმ მოთამაშეებზე, რომლებიც ანთალიაში შენს დაუკითხავად წავიდნენო.

ითხოვენ ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც კლუბშია დაარსებიდან და დღესაც ყოველდღიური პრობლემების მოგვარებითაა დაკავებული — მოედნის დასახაზად ცარცია საჭირო, თუნდაც ერთკვირიანი შეკრების მოსაწყობად სახსარი გამოსანახი.

ერთი სიტყვით, მოსკოვში თუ თურქეთში მყოფთ, ეს დუნია ჩალით დაუხურავთ და ვინც მართლა გარჯილა, იმას პირში ჩალის გამოვლებას უპირებენ.

გამორიცხული არაა, პირიქით მოხდეს და მოსკოველებს მართლა ნახარჯიც ოხრად დაურჩეთ. ყოველ შემთხვევაში, თბილისში მყოფი თბილისის „მერანი" უკვე ეძებს ახალ პარტნიორებს, ჩანს უპოვნია კიდეც და არც უფიქრია, თავი უსამართლობას დააჩაგვრინოს.

როცა გაჭირვება იყო, ოთარ გაბელიამ მალაზიიდან ბუცები ითხოვა ნისიად და ახლა ის ნისიად ნაშოვნიც რომ გაცვდა, არც რკინის ქალამნების ჩაცმას ითაკილებს. რკინის ქალამანს კი, მოგეხსენებათ, რკინის ჯოხიც მოსდევს, რომლის ხმარება გაბელიამ და კომპანიამ ჯადოქრის ჯოხზე არანაკლებ იციან — ასეთი პატრონის ხელში „მერანის" მესამეადგილოსნობა ჯადოქრობის ტოლფასი არაა?

**ვახტანგ ბზიკაძე**

# თბილისის «მერანის» სარბიელისეული დოსიე

### დავით ფურცელაძე
**„მერანის" პრეზიდენტი**

კლუბის პრეზიდენტი და მოსკოველი დამფუძნებლების წარმომადგენელია 2000 წლიდან. მათგანვე იღებს პრეზიდენტის ხელფასს და კლუბის წინაშე არანაირი ფინანსური ვალდებულება არ გააჩნია.

ფურცელაძემ წინა კვირაში მოსკოვი და ანთალია მოიარა. ნუგეშად მხოლოდ ეს ჩამოიტანა: სიტუაციას ნათელი, მალე, მაშინ მოეფინება, როცა ერთ-ერთი მოსკოველი დამფუძნებელი თბილისს ეწვევაო.

### ვლადიმერ ჩერქეზოვი
**„მერანის" მენეჯერი**

„მერანი" რუსულ მხარესთან მან დააკავშირა. მათვე ურჩია აკაკი დევაძის და მიხეილ ფოცხვერიას შეძენა, რომლებმაც ტრავმების გამო დანახარჯი ვერ გაამართლეს. ამჟამად ანთალიაში მყოფს სიტუაცია არამარტო გაბელიასთან და მამალაძესთან, არამედ მოსკოველ პარტნიორებთანაც გაურთულდა.

### ანზორ მამალაძე
**„მერანის" ვიცე-პრეზიდენტი**

ავჭალელთა ყველა სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის თანაზიარი ანზორ მამალაძე „მერანის" დაარსებიდან, ანუ 1991 წლიდან კლუბშია, სადაც ტექნიკურ და აღმასრულებელ დირექტორად უმუშავნია, 2000 წლიდან, ანუ „მერანში" რუსული ინვესტიციის ჩადების შემდეგ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტია. სწორედ ის ფლობს დღესაც კლუბის ფაქსიმილესა და ბეჭედს. მამალაძისვე წილადაა ხელახლა დაფუძნებული „მერანის" წესდებაში ერთი მეოთხედი დაფიქსირებული, რომელიც ჩვენი ინფორმაციით კლუბის ყოფილ პრეზიდენს, ნუგზარ ნავაძეს ეკუთვნის. ნავაძე „მერანის" აღმორძინებელი, საქართველოს პარლამენტის და ბლოკ „აღორძინების" წევრია, ვისი თავკაცობისასაც ავჭალურმა კლუბმა სადებიუტო წელსვე მოიგო უმაღლესი ლიგის მეოთხე ადგილი და ინტერტოტოს თასის საგზური.

### სევასტიანოვი და ჟილენკოვი
**„მერანის" დამფუძნებლები**

— დღეს უკვე გვიანია და სევასტიანოვს ვეღარ დაუკავშირდებით. ორშაბათამდე ვერც ჟილენკოვს მოიხელთებთ, მივლინებაში არიან — გვიპასუხა შპს რეგიონული ეკოლოგიური კომპლექსის მოსკოვურ ოფისში მდივანმა.

ჩვენს კითხვაზე კი, როგორია იმ ორგანიზაციის სრული სახელწოდება, სადაც დავრეკეთ, პასუხი ასეთი იყო: რეგიონული ეკოლოგიური კომპლექსი, შემოკლებით — რეკ. ერთ-ერთი რუსული საძიებო ვებ-გვერდის ცნობით რეკ-ი მეორეადი ნედლეულის ბაზარზე მომუშავე ფირმაა, რომელიც მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ნაგავგადამამუშავებელ ქარხნებს აშენებს.

სწორედ ამ ფირმის თანაპრეზიდენტები და თბილისის „მერანის" სასამმეოთხედო მოწილენი არიან 2000 წლის დეკემბრიდან იური სევასტიანოვი და ვალერი ჟილენკოვი.

### ოთარ გაბელია
**„მერანის" მწვრთნელი**

საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ევროპის თასების მფლობელთა თასის მომგები ოთარ გაბელია 1990 წლიდან საქართველოს ეროვნულ, 1998-იდან კი ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა მეკარეთა მწვრთნელად, ამჟამად კი ალექსანდრე ჩივაძის ერთ-ერთი თანაშემწეა.

ოთარ გაბელია საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაში ზუგდიდის „ოდიშს", გურჯაანის „ალაზანს", ყვარლის „დურუჯსა" და თბილისის თსუ-ს წვრთნიდა. უმუშავნია პირველლიგელ მარნეულის „ალგეთშიც". საუკეთესო მიღწევა „ალაზანში" 1993 წელს მოგებული ბრინჯაოს მედლებია.

„მერანი" 2001 წლის ზამთარში, საშუასეზონო შესვენებისას ჩაიბარა და პირველი ეტაპის ბოლო 5 ტურში ის 8 ქულა შემატა, რომელმაც გუნდს 32 ქულით ზეექვსეულში დაუბევა ადგილი.

### ბონდო კაკუბავა
**„გოლეადორის" მწვრთნელი**

ქართული ფეხბურთში ვიტალი დარასელიას აღმოჩენით ცნობილ ბონდო კაკუბავას ოჩამჩირის „ამირანსა" და გალის „მზიურში" მთავარ მწვრთნელად უმუშავნია. კაკუბავა იყო იმ „მერანის" მთავარი მწვრთნელიც, რომელმაც ორი წლის წინ თექვსმეტწლამდელებში მესხის თასი მოიგო. ბოლო წელიწადნახევარს კაკუბავა 1984 წელს დაბადებულ ჭაბუკებს მოსკოვში ავარჯიშებს „გოლეადორის" სახელით და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს. ბოლო თვეა „გოლეადორი", ანთალიაში იმყოფება და უკრაინულ „მეტალისტს", გერმანულ „ჰერტას", იუგოსლავიაურ „ზემუნს", თურქულ „ანთალიასფორსა" თუ სხვა ჩვენთვის უცნობ კლუბებს (მათ შორის, რუმინულს) ეჯიბრება. კაკუბავა სევასტიანოვის და ჟილენკოვის მითითებებით კი მოქმედებს, მაგრამ არ აპირებს, გაბელიას „მერანის" მწვრთნელობაში შეეცილოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟა აზარაშვილი

# დინამო, დინამო!.. გაუხუნარ ჰიტსაც პატარკაციშვილი ყიდულობს

## ვაჟა აზარაშვილი: ფეხბურთელებმა რამე უნდა იკისრონ

...გამარჯვების გზებზე ვდგებით, გამარჯვების სიმღერებით გული უნდა ვიჯეროთ... დინამო, დინამო, დინამო, გამარჯვება, ბიჭებო...

კარგი დრო იყო მაშინ და ჩვენ ყველანი მართლა „დინამო" ვიყავით. ვაჟა აზარაშვილის „დინამო, დინამო" კი ეროვნულზე ეროვნული ჰიტი იყო, მთელი საბჭოთა კავშირის საკონცერტო დარბაზებში თუ რესტორნებში ამღერებდნენ მას.

...წლები გავიდა და ბევრი რამ წალეკა, თბილისის „დინამოს" დიდებაც და ძლევამოსილებაც, მაგრამ ამ კლუბის სახელი და მისი სიმღერა ისევ ეროვნულია.

სიმღერას დაძველებაც მოუხდა და ახლა ალბათ უფრო სხვანაირად გვხვდება ძარღვზე „დინამო, დინამო". არავითარი ალეგორია, არანიარი მოდულაციები, ნრფელი, ახლა კი სენტიმენტალური მელოდია, გულის ამაძგერებელი და საყვარელი.

სიმღერა, რომელიც „დინამოს" პომპეზურობას სძენს და ამავე დროს სადა და სახალისოა, ერთი ამოსუნთქვით, ჯიგრიანად დაწერილი, გაუხუნარი ჰიტი „დინამო, დინამო"...

ეს მელოდია, რომელიც კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა შექმნა „დინამოსი" და საქართველოსია...

ვაჟა აზარაშვილი არაჩვეულებრივი, არომატული და დაძველებული გერმანული ღვინით გაგვიმასპინძლდა და იქვე მისივე შესრულებული „დინამო, დინამოც" ვიგემეთ. მანამდე კი იყო ინტერვიუ...

— კარგად მახსოვს, ფეხბურთისა და „დინამოს" სიყვარულს ჩვენს ეზოში, მარჯანიშვილის ქუჩაზე ვეზიარე. პირველად სტადიონზე 1945 წელს წაველი, ხოლო მომდევნო წლიდან შეძლებისდაგვარად სისტემატურად დავდიოდი თამაშებზე. მახსოვს, ათი წლისამ როგორ ვიტირე — 1946 წელს თასის ფინალში „დინამო" მოსკოვში „სპარტაკს" ხვდებოდა. პაიჭაძეს 39 გრადუსი ჰქონდა სიცხე, ჯეჯელავა და შუდრა ტრავმირებულნი იყვნენ და ჩვენ წავაგეთ ის ფინალი, რომელსაც რადიოთი ვუსმენდით.

**— ოცდაათი წლის მერე კიდევ ერთი ფინალი იყო, „დინამო" — „არარატი" 3:0...**

— 1976 წელს პირველად მოვიგეთ თასი. მართალია, მანამდე ჩემპიონები გავხდით, მაგრამ თასს თავისი ხიბლი აქვს. 1976 წლის ფინალს მეზობელთან ვუყურე, მაშინ ფერადი ტელევიზორი იშვიათობა იყო. მატჩის შემდეგ, გამთენიისას, ასე 5-6 საათი იქნებოდა, ინგლისის 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სიმღერის მელოდია რომ ამეკვიატა, მხნე სიმღერა იყო და ალბათ იმიტომ. მერე „დინამო, დინამოს" მელოდია მომაწვა, სამზარეულოში გავედი და ნოტებზე გადავიტანე — ასე შეიქმნა ეს სიმღერა.

**— სიმღერის ტექსტი როდის დაიწერა, მელოდიის შექმნამდე თუ მერე?**

— მერე. მელოდიის შესახებ მორის ფოცხიშვილს ვუთხარი და მანაც ტექსტი ამის შემდეგ დაწერა.

**— ერთი სიტყვით, „დინამო, დინამო" ყოველგვარი დაკვეთის გარეშე შეიქმნა. ანსამბლი „ივერია" თქვენ აირჩიეთ ამ სიმღერის შესასრულებლად?**

— ცხადია, ვფიქრობდი, ვის უნდა შეესრულებინა ეს სიმღერა. ერთხელაც „ივერიის" მომღერალ ჯემალ ბალაშვილს შევხვდი და „დინამო, დინამო" მის ანსამბლში მივიტანეთ, მორის ფოცხიშვილიც წამოგვყვა. რიტმი ალექსანდრე ბასილაიამ გააკეთა და სიმღერის ჩაწერის წინ გამიჩნდა იდეა — სიმღერას წამძღვარებოდა შეძახილი — „დინამო, დინამო!" მიმაჩნია, რომ ამან ბევრი რამ განსაზღვრა ნაწარმოების წარმატებაში, რომელიც თემურ წიკლაურმა და ზურაბ ცისკარიძემ იმღერეს.

**— ჰონორარი რამდენი გერგოთ?**

— ასი მანეთი დაქვითვით, ხოლო როცა სიმღერა ნოტებად გამოიცა, 80 მანეთი. თუმცა მერე პატარ-პატარა ჰონორარებიც ავიღე. მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ ეს სიმღერა კარგად დაებედა თბილისის „დინამოს" — ჩემპიონები გავხდით, კიდევ ერთი თასი მოვიგეთ და თასების თასსაც დავეუფლეთ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ნოდარ ახალკაციც აღტაცებული იყო ამ სიმღერით. მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. ერთხელ კი დილმის ბაზაზე მთელ „დინამოსთან" ერთად ვიმღერე ეს სიმღერა. სხვათა შორის, გუნდს დიუსელდორფშიც ვახლდი და მატჩის ანგარიშიც გამოვიცანი, ოღონდ ვთქვი, გოლებს შენგელია და სულაქველიძე გაიტანენ-მეთქი.

**— თქვენ სხვა საფეხბურთო სიმღერების ავტორიც ბრძანდებით...**

— „გურია, გურია", „წინ ტორპედო", აგრეთვე „გიხაროდეს, კაპიტან", რომელიც ალექსანდრე ცქნეტის ფილმში „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს" გაჟღერდა. ამ სიმღერის იდეა მორის ფოცხიშვილმა თავის სახლში გამანდო, მეც როგორღაც მყისვე მივუჯექი ინსტრუმენტს და მელოდია შევქმენი...

**— მაგრამ თბილისის „დინამოს" სიმღერა ალბათ სულ სხვაა...**

— რა თქმა უნდა. თბილისის „დინამო" ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო. მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე უკვე ფეხბურთით ვცხოვრობდით. ეს მხოლოდ სპორტი კი არა, ჩვენი ერის ღირსება იყო.

ახლა კი გამართულად არაფერი მუშაობს, ჩვენ, ხელოვნების ხალხსაც გვიჭირს, ენთუზიაზმზე ვმუშაობთ, თორემ საქართველოში ყოველთვის იყო ნიჭიერი ხალხი — ყველაფერს მატერიალური მხარე განსაზღვრავს.

**— როგორც უნდა იყოს, „დინამო, დინამო" ისევ ჰიტად რჩება, რესტორნებშიც ხშირად უკრავენ და ხანდახან „დინამოს" მატჩებზეც...**

— „დინამო, დინამო" ძველებურად მაშინ გაიჟღერებს, როცა „დინამო" აღდგება. მართალია, რესტორნებში და სტადიონზე ამ სიმღერას ისევ უკრავენ, ძველ თაობასაც ახსოვს, მაგრამ ახლანდელმა თაობამაც უნდა იცოდეს და „დინამოც" კარგად უნდა ათამაშდეს.

**— თითქმის ყველა დიდ გუნდს აქვს თავისი სიმღერა, ინგლისში სულაც ნებისმიერი რანგის საფეხბურთო კლუბს. თბილისის „დინამოს" კი თავისი ოფიციალური ჰიმნი არ აქვს. როგორ ფიქრობთ, თქვენი სიმღერა არ უნდა იყოს „დინამოს" ოფიციალური ჰიმნი?**

— „დინამოს" ახლანდელ ხელმძღვანელობას და მე უკვე წამოწყებული გვაქვს მოლაპარაკება ამის შესახებ. კლუბს სურს, ეს სიმღერა შეიძინოს, როგორც ოფიციალური ჰიმნი და თავიდან ჩაწეროს.

**— მერედა ვინ იმღერებს ახლებურად „დინამო, დინამოს"? თანამედროვე ქართული ესტრადის დონე ყველამ კარგად ვიცით და ვერ ხედავთ საშიშროებას, რომ თქვენ სიმღერას გააუფასურებენ?**

— ჩემი თანხმობის გარეშე ეს არ მოხდება. არის პროექტი და რამდენიმე ვარიანტი, თუმც საბოლოოდ ჯერ არ არის გარკვეული თუ ვინ იმღერებს ახლა ამ სიმღერას.

**— „დინამო, დინამო" თქვენი საფეხბურთო-მუსიკალური შემოქმედების პიკად მიგაჩნიათ?**

— ჯერჯერობით „დინამო, დინამო" მართლა მწვერვალია. მერე კი ვნახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ოღონდ ჩვენმა ფეხბურთელებმა რამე იკისრონ და...

**დავით თავართქილაძე**

# შეშა-შეგალი

## რომამ გოგობერიშვილს სასწრაფო გამოუძახა, ჯერი ახალ დინამოელებზეა



ალეკო გოგობერიშვილი

**ნორჩის** ტურნირს პირველივე ეტაპზე კი გამოეთიშა ფალონიაში დაბანაკებული თბილისის „დინამო", მაგრამ გუშინ სპარინგ-პარტნიორი მაინც გამონახა. ჩვენებურები პოლონეთის „ქეგელონს" გაეჯიბრნენ და იტალიურ შეკრებაზე ზედიზედ მეორე მარცხიც იგემეს — 0:1. „დინამომ" გოლი 44-ე წუთზე გაუშვა საჯარიმო დარტყმით. თუმც მანამდე საქართველოს ათგზის ჩემპიონმა რამდენიმე საგოლე მომენტი გაატანა ქარს — ორჯერ დარასელიას უნდა ეხეირა, თითოჯერ ბობოხიძეს, ბურდულსა და შავგულიძეს.

მეორე ტაიმში შედარებით ჩაკეტილი, მძიმე თამაში წავიდა. „დინამოს" მაინც ჰქონდა გათანაბრების შანსი, მაგრამ მიკუჩაძემ ცაცია ვერ დაჯაბნა პოლონელთა მეკარე. ჯონი შალამბერიძის ჯარიმას კი რიკოშეტი და ძელსგარტყმული ბურთი მოჰყვა. ივო შუშაკის გუნდის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: **მამალაძე, ვაშაკიძე, მაშიაშვილი (შალამბერიძე 46), შავგულიძე, მანწკავა, კარლოხი (სვანაძე 46), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (მიკუჩაძე 46), ანჩაბაძე (მაზიაშვილი 46), ბობოხიძე (სამხარაძე 46).**

გუშინწინდელ ამბებზეც ვთქვათ: „დინამო" ავტობუსში ჩაჯდა, ფალონიიდან 81 კილომეტრი გაიარა და რომში ჩავიდა. მარადიული ქალაქის დათვალიერების გარდა დინამოელები თვით ფაბიო კაპელოს „რომას" ვარჯიშსაც დაესწრნენ. როგორც „დინამოს" პრესატაშემ გვითხრა, ივო შუშაკმა ინტერვიუ მისცა „რომას" ტელეარხს, ხოლო კაპელომ თქვა, თბილისის „დინამოს" შესახებ როგორ არ გამიგონიაო. ერთი სიტყვით, დინამოელთა სტუმრობამ რომში და „რომაში" ნორმალურად ჩაიარა, თუმც ერთი უსიამოვნო ფაქტიც მოხდა. ახალი დინამოელების ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი, მუხლმტკივანი ალეკო გოგობერიშვილი „რომას" სამედიცინო ცენტრში გასინჯეს და დიაგნოზიც მყისვე დაუსვეს — მენისკი, რომელიც სასწრაფოდ საოპერაციოა. რომაელი ექიმების რწმუნებით, ოპერაციის გადადება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან დროთა განმავლობაში გოგობერიშვილს მუხლის მდგომარეობა გაუუარესდება და ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი დიდხანს გასტანს. „რომას" დასტაქრების მტკიცებით, თუ გოგობერიშვილი მყისვე გაიკეთებს ოპერაციას, ორ კვირაში მსუბუქ ვარჯიშსაც შეუდგება. პოდა, „დინამოს" ხელმძღვანელობა ახლა დილემის წინაშეა — რომაულ კლინიკაში მიავლინოს ალეკო გოგობერიშვილი თუ თბილისურში. „დინამო" შინ 19 თებერვალს დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანი ლობანოვსკის დაანახებს



მალხაზ ასათიანი ლობანოვსკის ელის

**12 თებერვალს** კონჩა-ზასპაში მეორე საკონტროლო მატჩი გამართა კიევის „დინამოს" სარეზერვო გუნდმა. ჟიტომირის „პოლესიესთან" შეხვედრაში „დინამოში" გასინჯვაზე მყოფმა სამივე ქართველმა ითამაშა.

პირველად მოირგო უკრაინული ფეხბურთის გრანდის მაისურა ქუთაისელმა მალხაზ ასათიანმა. ქართველმა ნახევარმცველმა 60 წუთი დაჰყო მოედანზე და მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. ძირითადში ითამაშეს არჩილ სახვაძემ და ლაშა ჭელიძემაც. სახვაძემ 56 წუთი ითამაშა, ჭელიძემ — ექვსით მეტი. მატჩი 0:0 დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ სარეზერვო დინამოელებს გამოცდილი ხაცკევიჩი და ფედოროვი დაეხმარნენ.

კიეველთა უპირატესობა თვალში საცემი იყო და ორჯერ ასათიანს ჰქონდა გოლის გატანის ჩინებული შანსი.

პირველად ქართველმა 30-ე წუთზე იაქტიურია, როდესაც დრიბლინგით გაიჭრა მეტოქის კარისკენ, მაგრამ ბოლო მომენტში მეკარეს ვერ აჯობა, შეცვლამდე ორი წუთით ადრე კი ასათიანის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა ჟიტომირელმა მცველმა.

კიეველ ჟურნალისტთა თქმით, ასათიანმა ბევრ კომპონენტში კარგად წარმოაჩინა თავი და მისი გარჯა არც ვალერი ლობანოვსკის დატოვებს გულგრილს.

ლობანოვსკი კი ძირითად გუნდთან ერთად ჰოლანდიაში იმყოფება შეკრებაზე. „დინამო" მორიგ საკონტროლო მატჩში „ბრიუგეს" ფრედ ეთამაშა.

**ბაადა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ქომაგთა დამშვიდება პრეზიდენტის შვილმა მასიმო კრანიოტიმ ითავა

# ანტიძაკური დემონსტრაცია

**რომაული** „ლაციოს" მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის ენდობიან — გუშინ, ფორმელოს საწვრთნელ ცენტრში გულშემატკივრებმა მართალია დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს, მაგრამ მოგვიანებით მწვრთნელს კლუბის პრეზიდენტი, სერჯო კრანიოტი შეხვდა და შეხვედრის შემდეგ სააგენტო ANSA-ს ცნობით ასე ბრძანა: „გუნდში განსაკუთრებული პრობლემა არ არსებობს, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის თანხმობაა. მოთამაშეებს ძაკერონისა სწამთ და ჩვენც მასთან ერთად მუშაობას კიდევ სამი წლის მანძილზე ვაპირებთ. „ლაციო" ის კლუბია, რომელსაც ნდობა შეუძლია".

საოცარია, ამ შეხვედრის წინა დღეს კრანიოტიმ ძაკერონი გვარიანად გააკრიტიკა.

რაც შეეხება საპროტესტო დემონსტრაციას, მართალია, იგი ცივილიზებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ფეხბურთელებმა სავარჯიშო მინდვრის დატოვება და პოლიციელთა დამხმარე რაზმის გამოძახება ამჯობინეს. ქომაგებთან სალაპარაკოდ „ლაციოს" კაპიტანი ალესანდრო ნესტა გავიდა. მასთან ერთად იყვნენ ფაბიო ლივერანი და ჯუზეპე პანკარო.

შეგახსენებთ, რომ ძაკერონიმ „ლაციოს" მწვრთნელის თანამდებობაზე დინო ძოფი შეცვალა. ძოფი კი გუნდის ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო შეცვალეს.

რომაელთა პრობლემაა ისიც, რომ ფრიადი ხმაურით შეძენილი ვარსკვლავები, გაისკა მენდიეტა და სტეფანო ფიორე ერთობ უსახურები გამოდგნენ, ხოლო ერნან კრესპომ და ზემოხსენებულმა ნესტამ ამას წინათ, ქარაგმულად განაცხადეს, თუ საქმე არ გამოსწორდება, გზას ვეწევითო.

დღეისთვის სერია A-ს ცხრილში „ლაციო" მერვე ადგილზეა და კვირას „კიევოს" უნდა შეხვდეს.

**ბაჩუნა ძიძია**



ალბერტო ძაკერონი და სერჯო კრანიოტი

# ვუყუროთ ქალებს და ვილაპარაკოთ რომარიოზე
## ბებერმა მგელმა სამბა ბურთთან იცეკვა

**რიოში** კარნავალი დამთავრდა. ეს თავისთავად საინტერესო და თვალსასეირო ამბავი კი ჩვენთვის იმითაც არის საყურადღებო, რომ შიშველ, ან თითქმის შიშველ მოცეკვავეებთან ერთად ფეხბურთელებსაც (ჩაცმულებს) უვლის თავს. და სანამ კარნავალი დამთავრდებოდა, ასეთი ამბები მოხდა...

გუშინ ვწერდით, რომ რონალდოს, რომელიც რიო დე ჟანეიროში სამკურნალოდ იმყოფება, „ინტერი" „ბოლონიასთან" მატჩის წინ ელოდა, მაგრამ ფეხბურთელმა შეუთვალა, მკურნალობა ვერ დავამთავრე და ცოტა ხნით კიდევ უნდა დავრჩეო. ინტერელებს ეს ამბავი, ცხადია, არ ეამათ, მაგრამ რას გააწყობდნენ.

რონალდომ კი ყურმილი დაკიდა თუ არა, კარნავალზე გაიქცა. იქ, სამბადრომის ერთ-ერთ VIP-ლოჟაში, მას ედმუნდო, ჯალმინია, ჟუნინიო პაულისტა და ტეტრაკამპეონების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ელოდნენ.

მცირედი გადახვევა — ევროპაში კარგა ხანია, შეჩვეულნი არიან იმას, რომ ბრაზილიელ ვარსკვლავებს რიოს კარნავალის დროს ფეხბურთი ავიწყდებათ და რაგინდ მნიშვნელოვანი მატჩებიც უნდა ჰქონდეთ, შინ მიდიან. ასე იყო ყოველთვის. 80-იანი წლების ისეთი ვარსკვლავებიც კი, როგორებიც ფალკაო, სოკრატესი, სერეზო, ზიკო და სხვები იყვნენ, ასევე იქცეოდნენ. ხოლო ედმუნდომ „ნაპოლისთან" კონტრაქტშიც ჩააწერინა, რომ კლუბი მას კარნავალზე წასვლას არ დაუშლიდა.

მოკლედ, ორშაბათ საღამოს, თერთმეტი საათისთვის, რონალდო ლოჟაში სკოლარის გვერდით მოკალათდა. შევნიშნოთ, რომ სამბას ყურება საუბარს ხელს არ უშლის და მათაც მუსაიფი გააბეს. თქვეს მთისა და ბარისა და რონალდომ „დიდ ფილს" შეაპარა, თქვენი საქმისა თავადვე მოგეხსენებათ, მაგრამ ხალხი რომარიოს ნაკრებში დაბრუნებას ითხოვსო. ეს ამბავი სკოლარისაც კარგად მოეხსენებოდა და უპასუხა, განა ახირების გამო არ ვიწვევ რომარიოს, თუ დავრწმუნდი, რომ ნალდად გვჭირდება, დავუძახებ, აბა, რას ვიზამო.

და სად იყო ამ დროს რომარიო?

მცოდნე ხალხი იხსენებს და ვერ გაუხსენებია, რომარიოს ოდესმე კარნავალი გაეცდინოს, ის სხვა ფეხბურთელებთან ერთად მუდამ ლოჟაში იჯდა და სამბათი ტკბებოდა, ახლა კი...

ბებერი მგელი რომარიო ორშაბათ დილით „ვასკუ და გამას" ბაზაზე მივიდა და მთელი დღე ოფლი ღვარა. კარნავალის დროს ვარჯიში ვის გაუგონიაო, გაიოცეს ჟურნალისტებმა, რომელთა ცნობისმოყვარეობაც ფეხბურთელმა ამ სიტყვებით დააკმაყოფილა: „მე უნდა ვიმუშაო, თავდაუზოგავად ვიმუშაო, რათა მიზანი — მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში — ავისრულო".

ეს ამბავი, როგორც მოგახსენეთ, ორშაბათს მოხდა, გუშინ კი რომარიო ბრაზილიიდან გაქრა. ვიჩქარებთ და დაგამშვიდებთ, რომ ის პანკისში არ გაუტაციათ. როგორც „ვასკუს" მწვრთნელმა ევარისტო დე მასედომ თქვა, რომარიოს შეერთებულ შტატებში გადაუდებელი პირადი საქმე გასჩენია და ამიტომ წასულა.

**ირაკლი ნინიძე**



იცეკვე დილამდე სამბა



რონალდო ცოლს გაეთამაშა



რომარიო

# NANDROLONE



## ჩემში კი უფრო ნანდროლონია

**„ლაციოს"** ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა ინტერნეტით სტატიების წერა დაიწყო. პერსონალურ გვერდზე სტამი თავისი ხუთთვიანი დოპინგ-დისკვალიფიკაციისა და საერთოდ დოპინგ-ტესტების შესახებ მსჯელობს.

„წინა პარასკევს ხუთთვიანი დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ აპელაცია შევიტანე და ერთი თვე დამაკლეს. დღეს ვგრძნობ, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ დისკვალიფიკაციის გარშემო ატეხილი იურიდიული აჟიოტაჟი დასასრულს უახლოვდება. საბოლოოდ, არ არის გამორიცხული, რომ 17 მარტს „ბრეშას" წინააღმდეგ ვითამაშო კიდეც.

ბედის ირონიაა, ვითამაშებ გუნდთან, რომელთან თამაშითაც დაიწყო ჩემი კარიერა „ლაციოში" — დიახ, გვირაბის ბოლოს სინათლეს ვხედავ და ისეთი სასიამოვნო გრძნობა მეუფლება, ძალიან დიდი ხანია, რომ არ დამუფლებია.

მაგრამ, არის მეორე მხარეც. მინდა გავარკვიო ყველაფერი, რაც ბოლო თვეების განმავლობაში მოხდა და ჩემი შელახული რეპუტაცია აღვიდგინო. ახლა, რამდენიმე მტკივნეულ კითხვაზე ვეძებ პასუხს, სანამ მათზე პასუხებს ვიპოვი, მსურს მოსაზრება გამოვთქვა ზოგადად დოპინგისა და მისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მაგალითად, ასეთი კითხვა მაქვს: როგორ აღმოაჩინეს დოპინგის კვალი, როდესაც აკრძალულ ნივთიერებას არ მივკარებივარ? ვაღიარებ, რომ ჩემი ტესტირების შემდეგ გამოქვეყნებული მონაცემები ზუსტად იყო შედგენილი და იქ ნაჩვენები რიცხვები დასაშვებ ნორმას აღემატებოდა, მაგრამ მე ხომ არაფერი დამილევია? სწორედ ეს შობს კითხვას, რას ამოწმებენ ლაბორატორიებში და რატომ დაგროვდა ბოლო დროს ამდენი სპორტსმენი, ქალი თუ კაცი, რომლებიც ისევე გაოცებულნი არიან, როგორც მე — საიდან მოხვდნენ დოპინგიანთა სიაში?

პასუხად, ორი შესაძლო ვარიანტი მაქვს და საკუთარი თავის დაცვაც სწორედ ამაზე მაქვს აწყობილი. ერთი ის, რომ, სავარაუდოდ, სხვადასხვა ორგანიზმი ნანდროლონს სხვადასხვა რაოდენობით გამოიმუშავებს ანუ შეიძლება ჩემს მიერ გამომუშავებული ნანდროლონის რაოდენობა თავისთავად არის მაღალი.



იაპ სტამი

და მეორე, შესაძლოა გარკვეულ ნებადართულ მედიკამენტებს აქვთ ნანდროლონის მაღალი შემცველობა.

ეს ორი კითხვა საჭირბოროტოა და ვფიქრობ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მათზე სერიოზულად უნდა იფიქროს".

**ბაჩუნა ძიძია**

# ნაპოლი პატრონს ჩაბარდა

**33 წლის** მოღვაწეობის შემდეგ კორადო ფერლაინომ „ნაპოლიში" თავისი წილი საბოლოოდ გაყიდა. სამშაბათს კლუბის პრეზიდენტი ჯორჯო კორბელი და ერთ-ერთი მეწილე სალვატორე ნალდი ფერლაინოსთან შეთანხმდნენ და კლუბის აქციები მთლიანად შეისყიდეს.

70 წლის ფერლაინომ „გაძეტა დელო სპორტს" უთხრა: „კორბელის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ცუდ დღეში ვიყავი და მისმა ფულმა სწორედ რომ ბეწვზე მომისწრო".

დღეს კორადო ფერლაინოს სახელი ბევრმა, შესაძლოა, არც იცოდეს. 80-იან წლებში კი, მისი პრეზიდენტობისას, ნეაპოლში ლეგენდარული გუნდი შეიქმნა, თვით დიეგო მარადონას გადაბირებაც შეძლეს და დაიწყო...

სამხრეთ იტალიელები 1987 წელს ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, სამ წელიწადში სკუდეტო მეორედ მოიგეს, ხოლო 89-ში უეფას თასს დაეუფლნენ. იმ წლებში ნეაპოლში რაღაც საოცარი ატმოსფერო სუფევდა. ყოველი დიდი გამარჯვების მერე ყველა ბინის აივანზე, კლუბის ფერების პატივსაცემად ცისფერი ნათურები ინთებოდა, ცეკვა-თამაშს ხომ ბოლო არ უჩანდა. მარადონასთან ერთად ფერლაინოს ფოტოებიც ხშირად ხვდებოდა გაზეთების თავფურცლებზე. მერე...

მერე საქმე უკან წავიდა, პრობლემები მომრავლდა, „ნაპოლი" სერია B-ში აღმოჩნდა. დიდი წვალების შემდეგ შარშან ელიტაში დაბრუნდა, მაგრამ მაშინვე დაქვეითდა და დღეისთვის იტალიის მეორე ლიგაში მეხუთე ადგილზეა.

„მშვიდად ვარ, მაგრამ, ალბათ, ძალიან მოვიწყენ — ამბობს ფერლაინო — მოვიწყენ იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი თავი დამთავრდა. თავი, რომელმაც დიდი და მნიშვნელოვანი დრო წაიღო. ხოლო სიმშვიდის საფუძველს კლუბის ახლანდელი პატრონები მაძლევენ. რთულ მდგომარეობაში კარგი გამოსავალი მოვნახეთ. თუ დღეს სოლიდური ფინანსები არ გაქვს, სერიოზულ გუნდს ვერ შექმნი. ამიტომ, გზა დამილოცნია"...

ბოლოს კი დავსძენთ, რომ ფერლაინომ აქციების ნახევარი შარშან ზაფხულს გაყიდა. გუშინწინ კი კლუბს საბოლოოდ დაემშვიდობა.

**სოლომონ გულისაშვილი**

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

# ლომების ირმის ნახტომი

**გუშინ** ფიფამ თებერვლის სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა. ასევე გუშინ არაერთმა ეროვნულმა გუნდმა ერთმანეთში ამხანაგური მატჩები ითამაშა, თუმცა ეს შედეგები, ცხადია, თებერვლის რეიტინგში არ შესულა.

შევნიშნოთ, რომ იანვარ-თებერვალში ევროპაში სანაკრებო ფეხბურთი ისვენებდა და აფრიკის გარდა სხვა კონტინენტებზეც თითო-ოროლა მატჩი თუ ჩატარდა. აი, აფრიკაში კი, მოგეხსენებათ, კონტინენტის პირველობა იყო და კოეფიციენტების ცხრილშიც წინ ან უკან დიდი ნაბიჯით, შესაბამისად, იქაურმა გუნდებმა თუ წაიწიეს.

აფრიკის თასის გამარჯვებულმა კამერუნმა ირმის ნახტომი გააკეთა და თუ იანვარში 37-ე ადგილი ეკავა, ახლა მე-18 პოზიციაზე გადაინაცვლა. „ლომებმა" ერთბაშად 19 საფეხურით წაიწიეს წინ, თუმცა ადგილებს შორის კამერუნელებზე შორს ტურნირის ფინალისტი სენეგალი გადახტა, 68-ე იყო და ახლა 45-ეა. პროგრესი შევუქოთ მალის გუნდსაც — 22 საფეხურით წინ.

ყველა საკუთარ თავს მიხედავს და ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. საქართველოს ნაკრებმა ორი საფეხურით დაიხია უკან და, ფიფას ვერსიით, ახლა მსოფლიოში მე-60 გუნდია.

ისიც საგულისხმოა, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების სამი მეტოქე — ირლანდია, რუსეთი და შვეიცარია ასევე ორ-ორი საფეხურით დაქვეითდა, თუმცა ირლანდია ოცეულში მაინც შედის, რუსეთი კი სამი საფეხურით ჩამოშორდა ელიტას.

ჩვენზე უფრო ცუდად ალბანელების საქმე ყოფილა. ჯერ ერთი, რომ ცხრილში საქართველოზე გაცილებით უკან, 97-ე ადგილზე არიან და თან ერთ თვეში ხუთსაფეხურიანი რეგრესი აქვთ. შვეიცარია დაახლოებით ჩვენსავითაა — ახლა 67-ე ადგილზეა.

ვინძლო, უკრაინის ნაკრების მილწევებმაც დაგაინტერესოთ და დაუმადლებლად გეტყვით, რომ ისინიც ჩვენსავით ორი ადგილით დაქვეითდნენ — ახლა 47-ეზე არიან.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | 1 | 809 | 15 | ჩეხეთი | 14 | 686 |
| 2 | არგენტინა | 2 | 799 | 16 | რუმინეთი | 15 | 684 |
| 3 | ბრაზილია | 3 | 791 | 17 | შვედეთი | 16 | 679 |
| 4 | პორტუგალია | 4 | 738 | 18 | კამერუნი | 37 | 673 |
| 5 | კოლუმბია | 5 | 737 | 19 | ირლანდია | 17 | 670 |
| 6 | იტალია | 6 | 731 | | დანია | 17 | 670 |
| 7 | ესპანეთი | 7 | 727 | | | | |
| 8 | ჰოლანდია | 8 | 720 | 23 | რუსეთი | 21 | 662 |
| | მექსიკა | 9 | 720 | | | | |
| 10 | ინგლისი | 10 | 709 | 60 | საქართველო | 58 | 550 |
| 11 | იუგოსლავია | 11 | 707 | | | | |
| 12 | გერმანია | 12 | 704 | 67 | შვეიცარია | 65 | 538 |
| 13 | აშშ | 24 | 691 | | | | |
| 14 | პარაგვაი | 13 | 689 | 97 | ალბანეთი | 92 | 452 |

I გრაფა — ადგილი, II გრაფა — ქვეყანა
III გრაფა — ადგილი წინა თვეში, IV გრაფა — ქულა



სენეგალი 23 სართულზე აფრინდა

## კარლსბერგის თასი. ნახევარფინალი

**სლოვენია 1:5 ჰონდურასი**

0:1 ს. მარტინესი (39), 1:1 ზაჰოვიჩი (51), 1:2, 1:3, 1:4 ს. მარტინესი (59, 67, 71), 1:5 კ. მარტინესი (89)
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, სანკოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, ზაჰოვიჩი, პავლინი, რუდონია, გაიზერი (კარიჩი 46), ჭიმიროტიჩი (ნ. ჩეჰი 72)
ჰონდურასი: კოელიო კარკამო, ს. კაბალიერო (ე. ალვარესი 68), როსალესი, ბერნარდესი, ხ. პინედა, ლეონი, რ. მორალესი (ე. მარტინესი 76), ს. მარტინესი (კ. მარტინესი 73), ა. ალვარესი, პერესი
მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)
25 000 მაყურებელი

**ჰონკონგი 1:1 (პენ. 4:3) ჩინეთი**

0:1 ცუნ ვეი (63), 1:1 ფილიო (68)
ჰონ კონგი: ჩუნ-იაპი, კინ-უაი, კორდეირო, პარტუიგი, ვაი-ლუნი, მაკკუინი, კაი-უამი (უდუ ბულუზორი 80), გუმბსი, იოუ-ჩუკი, ამბასა, ფილიო
ჩინეთი: ჯან ჯინი, ჩუნგიანგი, ლი ტიე, ცუნ ვეი, ჩენ განგი (იანგ პუ 85), ლი ვაიფენგი, კუ ბო (მა მინგუ 46), კუ ჰონგი, ხუ იუნლონგი, შაო ჯიაი (იუნინგი 46), ლი იი
მსაჯი: კიმ ტაე-იანგი (სამხრეთ კორეა)
26 244 მაყურებელი

# კანიჯამ ინგლისს ხელი ჩაიქნია ვერონმა კი თავი დაუკრა

**კარდიფში** უელსთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ჩასულმა არგენტინელებმა, ცხადია, ინგლის — არგენტინის სამსოფლიოჩემპიონატო დაპირისპირებაზეც ილაპარაკეს.

ხუან სებასტიან ვერონის აზრით, ინგლისთან მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრესი მოვლენა გახდება, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა პირველ ეტაპზე გაიმართება. არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ კი ინგლისი მომავალი მუნდიალის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად დაასახელა: „მათ ყველაფერი აქვთ, ბრწყინვალე ფეხბურთელებისგან შექმნილი გუნდი და რაც მთავარია, ძლიერი მწვრთნელი".

ბიელსას აზრს ვერონიც იზიარებს, ბოლოს და ბოლოს, მას ინგლისელთა შვედ თავკაცთან ერთად სერია A მოუგია: „ერიკსონს აქვს უნარი, რომ სრულიად არაფრისგან გუნდი შექმნას და მას გამარჯვების რწმენა ჩაუნერგოს" — თქვა „მანჩესტერის" ნახევარმცველმა. ხოლო ყოფილი არსენალელი, ახლა კი „ინტერის" მცველი ნელსონ ვივასი თვლის, რომ ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჯგუფურ ეტაპზე თამაში ერთობ წაადგებათ.

კლაუდიო კანიჯა კი არასოდეს შეხვედრია ინგლისელებს, ამიტომაც არგენტინა — ინგლისის პაექრობაზე წინ არგენტინა — ბრაზილიას აყენებს: „ცხადია, ინგლისთან უმძიმესი ბრძოლა გველის. ეს გუნდი ის აღარაა, რაც თუნდაც 1986 წელს რომ იყო, მაგრამ ბრაზილიასთან თამაში მაინც სულ სხვაა".

საერთო ჯამში, სამხრეთამერიკელები იმედიანად არიან განწყობილნი. ჯერ ერთი, მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებად თავად ითვლებიან, თანაც, ბოლო წლებში ინგლისთანაც დადებითი ბალანსი შეიქმნეს.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ არგენტინა — ინგლისის დაპირისპირება 40 წელს ითვლის. 1962 წლის ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული 2002 წლის კორეა-იაპონიამდე, ოფიციალურ შეხვედრებში ორჯერ ევროპელებმა, ორჯერაც სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს.

თითქმის არც ერთ მატჩს არ ჩაუვლია სკანდალის გარეშე. 1962 წელს ინგლისმა 3:1 მოიგო, ოთხი წლის შემდეგ ალბიონელებმა საკუთარ ჭერქვეშ, „უემბლიზეც" დაამარცხეს არგენტინა. პირველი სამარცხვინო შემთხვევაც იქ მოხდა — სერ ალფ რამსეიმ სტუმრებს „ცხოველები", უწოდა. ხოლო არგენტინელებმა 1986 წელს დიეგო მარადონას ღმერთის ხელის, ხოლო 1998 წელს დიეგო სიმეონეს სიმულაციის წყალობით მოიგეს — ეს, ცხადია, ინგლისელთა აზრით.



მარსელო ბიელსა და ხუან სებასტიან ვერონი კარდიფში საინგლისოდ ემზადებიან

თუ რა იქნება აზიის მიწაზე, არავინ იცის. მართალია, არგენტინას ფავორიტად მიიჩნევენ, მაგრამ ინგლისს ამის თაობაზე სულ სხვა აზრი რომ აქვს, ფაქტია.

**სერგი ძორიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანელი** ნახევარმცველი გაისკა მენდიეტა ნანობს, რომ ჩაიშალა მისი იტალიური „ლაციოდან" მშობლიურ ბილბაოს „ატლეტიკში" გადასვლის ვარიანტი. ფეხბურთელის თქმით, იგი არ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, თუმცა იცის, რომ ასეთ ტრანსფერზე საუბარი იყო. „გასულ სეზონში „ვალენსიადან" „ლაციოში" 28 მილიონ დოლარად გადავედი და ასეთი საშინელი სეზონი არასდროს მქონია — განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა — მინდა, ძველებური ფორმა დავიბრუნო, რადგან მალე ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს".

**ჰოლანდიის** ეროვნული ნაკრებისა და ესპანური „ბარსელონას" თავდამსხმელმა, პატრიკ კლუივერტმა განაცხადა, რომ შესაძლოა, კონტრაქტის დამთავრებამდე, რომელსაც 2006 წლამდე აქვს ვადა, დატოვოს კატალონიური კლუბი. „ბარსას სპორტული დირექტორის ცნობით, ჩემით „ლივერპულია" დაინტერესებული — განაცხადა ფორვარდმა — მაგრამ კატალონიელები ჩემს გაყიდვას არ აპირებენ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან პრემიერლიგაში მაინც ვითამაშებ და ეს „ბარსელონასთან" კონტრაქტის ამოწურვამდე იქნება".

**ესპანეთის** ეროვნული ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის" თავდამსხმელმა ისმაელ ურსაიზმა კლუბს ხელფასის გაზრდა მოსთხოვა, რამაც ფეხბურთელსა და ბასკურ კლუბს შორის კონტრაქტის ვადის გაგრძელებაზე მოლაპარაკება ჩაშალა. „ჩვენ მოვუსმინეთ ურსაისის აგენტებს, თუმცა მათ მიერ შემოთავაზებული ციფრები წინას გაცილებით აღემატება — განაცხადა ბასკური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხავიერ ურიამ — ვიცით, რომ ურსაისს ძალიან სურს ბილბაოში დარჩენა, მაგრამ ეს ჩვენ შესაძლებლობებს აღემატება". 30 წლის ურსაისი უკვე მეექვსე სეზონია, რაც „სან მამესზე" ბურთაობს. ქომაგთა აზრით, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ წლეულს „ატლეტიკი" ჩემპიონატში წარმატებით გამოდის და ესპანეთის თასის ნახევარფინალშიც ითამაშა".

**ინგლისური** „ლივერპულის" მწვრთნელ ფილ ტომპსონის თქმით, მაიკლ ოუენი ჩემპიონთა ლიგის მომავალი მატჩისთვის თურქული „გალათასარაის" წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში იქნება. „მან ნაკრებში კი ივარჯიშა, მაგრამ მიხვდა, რომ სამკურნალოა. მართალია, სერიოზული არაფერი სჭირს, მაგრამ დამატებით გამოკვლევას მაინც ჩავუტარებთ" — განაცხადა ტომპსონმა.

**ლიბიის** ლიდერის, მუამარ კადაფის ვაჟი ელ-საადი ტურინის „იუვენტუსში" ვარჯიშობს. როგორც ცნობილია, უფროსი კადაფი ტურინული კლუბის აქციების 5,31 პროცენტს ფლობს. თავად ელ-საადი კი ლიბიის ნაკრებში მოხვედრას ლამობს. ვარჯიშის შემდეგ მარჩელო ლიპიმ მას ხელი ჩამოართვა. როგორც ამბობენ, კადაფი შესაძლოა ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდეს.

**ინგლისური** „მანჩესტერის" ირლანდიელმა კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ კლუბთან ახალ კონტრაქტს მაშინ გააფორმებს, როდესაც ამისთვის მზად იქნება. შეგახსენებთ, რომ კინს ახლანდელი ხელშეკრულება 2003 წლამდე აქვს. მას ხელფასის სახით კვირაში 74 500 დოლარს უხდიან. „ის, რომ ფერგიუსონი კლუბში დარჩა, არაფერს ცვლის. მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში მევალება. მოლაპარაკებებს კი ჩემი ადვოკატი გაუძღვება" — თქვა კინმა.

**გერმანიის** ნაკრებისა და ბერლინის „ჰერტას" ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი ვარჯიშს მალე განაახლებს. მას ტრავმის გამო 13 ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია. „იმედი მაქვს, ორ კვირაში ვარჯიშს დავიწყებ" — თქვა 21 წლის დაისლერმა. „სებასტიანის ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმც წინასწარ ვერაფერს ვიტყვი" — განაცხადა „ჰერტას" მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა.

**ინგლისური** „ლესტერის" თურქი მოთამაშის, მაზი იზეტის „მიდლსბროში" გადასვლის თაობაზე მოლაპარაკებები გრძელდება. ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა 6 მილიონ გირვანქას შეადგენს. მისმა აგენტმა ჯონათან ბარნეტმა განაცხადა, რომ „მიდლსბრომ" უკვე მიმართა წინადადებით „ლესტერს" და ყველაფერი მალე გაირკვევა.

**პოლონელმა** მეკარემ ირჟი დუდეკმა განაცხადა, რომ ნაკრებში ამხანაგურ მატჩს ვერ ჩაატარებს, რადგან მარცხენა ფეხის ტრავმა აწუხებს. „ნაკრებში ვერ ვითამაშებ. ფეხზე რენტგენი უნდა გადავიღო. არ ვიცი, ტრავმა რამდენად სერიოზულია, თუმც ყურადღება უნდა მივაქციო. იმედი მაქვს, ათიოდ დღეში სრულად გამოვჯანმრთელდები და ჩემპიონთა ლიგის განახლებას მზად შევხვდები" — განაცხადა დუდეკმა.



# ფეხბურთი ავღანეთში!

## ქაბულში ბომბის ნაცვლად ბურთი ჩააგდეს




ღვთისგან მივიწყებულ ავლანეთის დედაქალაქში პარასკევს საფეხბურთო მატჩია. გიჟმაჟი ავღანელი ფანები ბილეთებს დასძგერებიან და 30 000 ცალი უკვე დაუტაციათ. ბილეთი, თითქმის უფასოა, ათი ცენტი ღირს, მაგრამ იქაური ფულით ეს ათი ცენტი აგერ, რამხელა დასტაა, მატჩი კი მეტად ღირებული და მნიშვნელოვანი — საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები (ISAFI) „ქაბულ იუნაიტედს" გაეჯიბრება.

ნახევრად დანგრეული ქაბულის მთავარი სტადიონი რამდენიმე თვის წინათ ის ადგილი იყო, სადაც ადამიანების სახალხო დასჯა ხდებოდა. პარასკევს კი იქ კაცთა თავების ნაცვლად ბურთი გაგორდება.

ISAFI-ის გუნდის მწვრთნელი ტოტენჰემ ჰოტსპურის" ყოფილა მეკარე გარი მაბუტი გახლავთ, რომელიც უკვე ჩავიდა ქაბულში. მის გუნდში 12 ბრიტანელი სამხედროა, ორი ფრანგი და თითო-თითოც იტალიელი, გერმანელი, ესპანელი, დანიელი და ჰოლანდიელი.

ხოლო „ქაბულ იუნაიტედს" „საუთჰემპტონის" ყოფილი მენეჯერი ლავრი მაკმენემი დამოძღვრავს. ფეხბურთელები კი მწვრთნელისთვის ავლანეთის ახლანდელ ლიდერ ჰამიდ ყარზის დაურჩევია — ისინი ქაბულის საუკეთესო მობურთალები არიანო.

შეხვედრას ინგლისური პრემიერლიგის არბიტრი პიტერ ჯოუნსი გაუძღვება. „ვიმედოვნებ, ეს კარგი და სამართლიანი თამაში იქნება" — მოკლედ მოჭრა მსაჯმა.

ლავრი მაკმენემიმ კი დასძინა: „გვსურს ვითამაშოთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმისთვის, რომ ხალხის სახეებს ქაბულში ღიმილი დაუბრუნდეს".

ინგლისელებმა ქაბულში პრემიერლიგის თასიც ჩაიტანეს, აქაოდა, თუ ბრძოლა მოგინდებათ, ერთი ასეთი თასი აიღეთ და იმისთვის იბრძოლეთო. დასავლეთის ჯარები და ყარზის ბიჭები — ამხანაგ სუხოვისა არ იყოს, აღმოსავლეთი სათუთი საქმეა...

**დავით თავართქილაძე**



**ინდიანა 82:98 იუტა**

ინდიანა: ბესტი (18), როუზი (16)
იუტა: მელოუნი (34 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), სტოქტონი (9 ქულა, 12 პასი, 6 ჩაჭრა)

**დეტროიტი 71:99 ფინიქსი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (10), უილიამსონი (10)
ფინიქსი: როჯერსი (19 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (14)

**დენვერი 93:110 ბოსტონი**

დენვერი: ჯონსონი (21)
ბოსტონი: უოლკერი (30 ქულა, 14 პასი, 12 მოხსნა), პირსი (25)

12 თებერვალს „სტეიპლზ სენთერი" მორიგი მატჩის მოლოდინში ახმაურებულიყო. არა, ეს შეხვედრა ნამდვილად არ იყო მორიგი. ორიოდ წელია, ინჟინერ-მშენებლებმა „სტეიპლზი" მოამთავრეს და მას შემდეგ ამ ნაგებობამ ბევრ ასაკოვან დარბაზზე მეტი საინტერესო ანახა იქ ყოველ მესამე-მეოთხე დღეს მისულ ჯეკ ნიკოლსონსა და სხვებს — ცნობილთაც და არაცნობილთაც.

როდესაც ჯეკ ნიკოლსონსა და სხვებს ვეება ტაბლო-ვიზორის ცქერა მოსწყინდათ, მერე კი ფიცარნაგზე მოქანავე ჯანმრთელმა გოგოებმაც მოლალეს თვალი, დარბაზის დაფარული სიღრმიდან ყვითელ-იისფერი ნაკადი წამოვიდა. რამდენიმე წუთში მსაჯმაც ჩასტვინა და ყვითელ-იისფერი ერთმანეთში აიზილა.

იისფრებში სხვებზე მეტ ყურადღებას 23-ნომრიანი ასაკოვანი კაცი იპყრობდა. უწინ ის ყველაზე მაგარი იყო და მისი დამჯაბნავი რომ ვერ მოიძებნა, მულამდაკარგულმა გაცლა არჩია. რამდენიმე წლის შემდეგ ის დაბრუნდა, რადგან სამყვლობელოში ახალი დასაძლევი სუბიექტები გამოჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი და იქნებ ყველაზე მეტის შემძლე 12 თებერვალს 23-ნომრიანი მოხუცის წინ დადგა და მისი წაქცევა მოიწადინა.

„ლეიკერსს" შაკილ ონილი აკლდა, ასე რომ, ყვითელთა ძირითადი დასაყრდენი კობი ბრაიანტი გახლდათ. ცენტრფორვარდის შაკის არყოფნამ არათუ დასცა, არამედ მნიშვნელოვანწილად გაზარდა მატჩისადმი ინტერესი, რადგან ბრაიანტ-ჯორდანის დუელში მესამე აღარ ჩაერეოდა.

ჯორდანი და ბრაიანტი ერთი ამპლუისანი არიან, თუმცა შეხვედრა სხვათა მეურვეობით დაიწყეს. ჯორდანს რიკ ფოქსი დასდევდა, რათა ბრაიანტი შეტევაში დახარჯულიყო. ლეიკერსელს ჯორდანის თანაგუნდელთაგან რიჩარდ ჰამილტონი უშლიდა ხელს.

ორის დავაში მაინც ჩაერია მესამე წესით, ყველაზე მეტი ჯაფა ბრაიანტის მაღევარ ჰამილტონს უნდა დასდგომოდა, მაგრამ მას შეჭირვებას ვერავინ ატყობდა. დაცვაში ყურადღებით ჩასაფრებულმა რიჩარდმა შეტევისთვისაც მოიცალა, მარტო საწყის მეოთხედში 12 ქულა გაშანსა და ჯორდანთან სიამტკბილობით იისფრებს საწყისი მეოთხედი 25:16 მოაგებინა. მეორე მეოთხედი ჯორდანისა იყო, მასპინძლებს დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი ნაპრალის შედულაბების საშუალებათა გამოძებნაზე მოუხდათ ფიქრი.

„შესანიშნავი შანსი გვქონდა, მსოფლიოსთვის დაგვენახვებინა, რეალურად რისი მარიფათი ვაქვს. ასეც ვუთხარი ბიჭებს. პირადად მე სირენამდე ვაპირებდი ბრძოლ[!]. მიხაროდა, ვიცოდი, ვიპოვიდი საკმარის ძალას, თავი არ შემერცხვინა" — ეს კობი ბრაიანტმა მას შემდეგ თქვა, რაც თავისი გასაკეთებელი გააკეთა.

მაიკლ ჯორდანი დაახლოებითაც ვერ გაიხსენებს, რამდენჯერ გაუკეთებია ასეთი რამ. კობი ბრაიანტი მესამე მეოთხედში აფეთქდა და ჯორდანიანები ააფეთქა. 23 წლის კაცის სააზროვნო აპარატთან მიერთებული მისი ტან-ხელფეხი შეწყობილად ამოქმედდა და ჯეკ ნიკოლსონს სახე ნელ-ნელა გაებადრა. მესამე თორმეტწუთეულის ბოლო წუთი იწყებოდა, როდესაც ბრაიანტმა ჯორდანს ბურთი მოჰპარა და სტუმართა ფარისკენ ქარისებრ გაჭრილმა ერთ შეტევაში სამი ქულა გააკეთა. „ლეიკერსი" 74:72 დაწინაურდა. ცოტა ხნის შემდეგ კობის პასით დერიკ ფიშერმა სამქულიანი ჩააგდო და ბოლო მეოთხედის წინ „ლეიკერსი" სამი ქულით დაწინაურდა.

სავსე „სტეიპლზი" ბოლო მეოთხედში ფიცხელ ბრძოლას ელოდა. როცა წინ კიდევ 12 წუთია, სამქულიანი სხვაობა თითქმის არაფერს წყვეტს. ამ შემთხვევაში ამას ვერავინ იტყოდა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, გამარჯვებული — ცნობილი. ბრაიანტმა მოუგო ფსიქოლოგიური ბრძოლა მსოფლიოს ყველაზე მტკიცენერვებიან სპორტსმენს.

ორი დღის წინ ყველა ვარსკვლავის შეხვედრაშ ბრაიანტმა აჯობა ჯორდანს, მაგრამ ეს სხვაა.

სანამ „ლეიკერსი" „ვაშინგტონს" შეებმებოდა, ჯორდანის ყოფილმა გუნდმა, მთელს ნბა-ში ყველაზე ცუდმა გუნდმა „ჩიკაგო ბულზმა" ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. 12 თებერვალს „ჩიკაგომ" „მილუოკის" მოუგო, მანამდე კი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" შეარცხვინა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

## იტალია

XXIII ტური

**ვარეზე 94:86 ბენეტონი**

ცქრიტიშვილი სათადარიგო იყო
როზეტო — აველინო 88:83, მიულერი — ვიოლა 85:92, სიენა — სკავოლინი 89:90, იმოლა — რომა 88:81, კანტუ — ტრიესტი 92:64, სნაიდერო — ადეკო 65:57, სკიპერი — ბიელა 82:67, ფაბრიანო — ლივორნო 98:104

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 22 | 19 | 3 | 1891:1674 | 41 |
| ბენეტონი | 22 | 17 | 5 | 2027:1787 | 39 |
| კინდერი | 21 | 17 | 4 | 1819:1557 | 38 |
| კანტუ | 22 | 16 | 6 | 1802:1716 | 37 |
| სიენა | 22 | 15 | 7 | 1857:1705 | 37 |
| სკავოლინი | 22 | 15 | 7 | 1829:1784 | 37 |
| ტრიესტი | 22 | 12 | 10 | 1727:1785 | 34 |
| რომა | 22 | 10 | 12 | 1723:1718 | 32 |
| მიულერი | 22 | 10 | 12 | 1785:1815 | 32 |
| ვარეზე | 22 | 9 | 13 | 1904:1919 | 31 |
| ფაბრიანო | 22 | 9 | 13 | 1786:1905 | 31 |
| სნაიდერო | 22 | 8 | 14 | 1772:1809 | 30 |
| აველინო | 22 | 8 | 14 | 1788:1855 | 30 |
| ადეკო | 22 | 8 | 14 | 1757:1831 | 30 |
| ბიელა | 22 | 8 | 14 | 1791:1876 | 30 |
| როზეტო | 21 | 8 | 13 | 1772:1856 | 29 |
| იმოლა | 22 | 6 | 16 | 1727:1828 | 28 |
| ლივორნო | 21 | 6 | 15 | 1687:1820 | 27 |
| ვიოლა | 21 | 6 | 15 | 1659:1863 | 27 |

## საბერძნეთი

XVI ტური

პანიონიოსი — დაფნი 87:68, დრამა — ირაკლიონი 88:91, მარუსი — იონიკოსი 89:80, ნიარ ისტი — პაოკ 71:66, არისი — ოლიმპიაკოსი 73:78, პანათინაიკოსი — ირაკლისი 77:74, პერისტერი — აეკ 75:84

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 16 | 15 | 1 | 1419:1180 | 31 |
| პანათინაიკოსი | 16 | 14 | 2 | 1323:1179 | 30 |
| ირაკლისი | 16 | 12 | 4 | 1177:1101 | 28 |
| ოლიმპიაკოსი | 16 | 12 | 4 | 1362:1183 | 28 |
| პანიონიოსი | 16 | 10 | 6 | 1255:1178 | 26 |
| მარუსი | 16 | 8 | 8 | 1283:1249 | 24 |
| პერისტერი | 16 | 7 | 9 | 1215:1237 | 23 |
| ირაკლიონი | 16 | 6 | 10 | 1308:1334 | 22 |
| პაოკ | 16 | 6 | 10 | 1271:1279 | 22 |
| არისი | 16 | 5 | 11 | 1238:1331 | 21 |
| ნიარ ისტი | 16 | 5 | 11 | 1180:1304 | 21 |
| დრამა | 16 | 5 | 11 | 1256:1430 | 21 |
| იონიკოსი | 16 | 4 | 12 | 1260:1417 | 20 |
| დაფნი | 16 | 3 | 13 | 1194:1339 | 19 |

ოლიმპიაკოსს დაკლებული აქვს 1 ქულა

## ესპანეთი

XIX ტური

კანტაბრია — ხუვენტუდი 77:84, ფორუმი — ესტუდიანტესი 82:78, ტაუ — რეალი 72:58, კასერესი — უნიკახა 59:72, პამესა — გრანადა 82:74, ბარსელონა — ხირონა 81:80, ფუენლაბრადა — კახა სან ფერნანდო 71:63, კანარიასი — ლეიდა 93:82, ხიხონი — ლეჩე 61:80

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 19 | 16 | 3 | 1670:1513 | 35 |
| უნიკახა | 19 | 15 | 4 | 1545:1373 | 34 |
| რეალი | 19 | 14 | 5 | 1531:1388 | 33 |
| პამესა | 19 | 14 | 5 | 1514:1423 | 33 |
| ტაუ | 19 | 14 | 5 | 1519:1306 | 33 |
| ხუვენტუდი | 19 | 11 | 8 | 1638:1582 | 30 |
| სან ფერნანდო | 19 | 10 | 9 | 1471:1422 | 29 |
| ფორუმი | 19 | 10 | 9 | 1497:1489 | 29 |
| ლეჩე | 19 | 10 | 9 | 1441:1487 | 29 |
| ესტუდიანტესი | 19 | 9 | 10 | 1574:1520 | 28 |
| ფუენლაბრადა | 19 | 9 | 10 | 1484:1520 | 28 |
| ლეიდა | 19 | 9 | 10 | 1519:1560 | 28 |
| ხირონა | 19 | 8 | 11 | 1442:1496 | 27 |
| გრანადა | 19 | 6 | 13 | 1589:1663 | 25 |
| კანარიასი | 19 | 6 | 13 | 1413:1509 | 25 |
| კასერესი | 19 | 5 | 14 | 1475:1694 | 24 |
| ხიხონი | 19 | 3 | 16 | 1453:1584 | 22 |
| კანტაბრია | 19 | 2 | 17 | 1425:1662 | 21 |

## საფრანგეთი

XVI ტური

შალონი — ლე მანი 83:71, პო ორტეზი — ლე ავრი 97:63, ტულონი — რასინგი 97:92, შოლე — ანტიბი 86:83, ლიმოჟი — ბურგი 79:73, გრაველინი — დიჟონი 89:76, მონპელიე — ვილერბანი 69:88, ნანსი — სტრასბური 97:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 16 | 14 | 2 | 1364:1203 | 30 |
| ვილერბანი | 16 | 13 | 3 | 1306:1149 | 29 |
| ნანსი | 16 | 12 | 4 | 1405:1297 | 28 |
| გრაველინი | 16 | 11 | 5 | 1419:1347 | 27 |
| შალონი | 16 | 10 | 6 | 1222:1116 | 26 |
| დიჟონი | 16 | 10 | 6 | 1295:1240 | 26 |
| ლე მანი | 16 | 9 | 7 | 1361:1337 | 25 |
| რასინგი | 16 | 8 | 8 | 1249:1234 | 24 |
| შოლე | 16 | 8 | 8 | 1363:1351 | 24 |
| სტრასბური | 16 | 8 | 8 | 1302:1293 | 24 |
| მონპელიე | 16 | 7 | 9 | 1234:1277 | 23 |
| ლიმოჟი | 16 | 7 | 9 | 1229:1307 | 23 |
| ტულონი | 16 | 5 | 11 | 1294:1415 | 21 |
| ანტიბი | 16 | 3 | 13 | 1209:1316 | 19 |
| ლე ავრი | 16 | 2 | 14 | 1178:1389 | 18 |
| ბურგი | 16 | 1 | 15 | 1184:1340 | 17 |

## თურქეთი

XIV ტური

ითუ — ფენერბაჰჩე 79:92, ბეიქოზ კოლეჯი — ტელეკომი 64:88, ოიაქი — ქარშიაქა 87:66, ეფესი — თედ კოლეჯი 97:66, დარუშაფაკა — ბეშიქთაში 91:89

**ულქერი 105:96 გალათასარაი**

ულქერი: ლოლისი (16), ფარსი (10), აბი (7), გოლიოვიჩი (21), ერდენაი (21), ელი (16), აჩიკი (10), ფაჩულია (5 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა), გიულერი
გალათასარაი: თაბაი (4), გორქემი (12), ბაში (22), ვილანგოვსკი (1), თუნჩერი (17), ბერენი (19), ქულჩებაში, ოიგიური (2), ოზმენი (10), მეტიუზი (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 13 | 12 | 1 | 1123:881 | 25 |
| ულქერი | 13 | 12 | 1 | 1243:1042 | 25 |
| დარუშაფაკა | 14 | 11 | 3 | 1124:1033 | 25 |
| ოიაქი | 14 | 8 | 6 | 1120:1021 | 22 |
| ტელეკომი | 13 | 8 | 5 | 1055:989 | 21 |
| ქარშიაქა | 14 | 7 | 7 | 1102:1148 | 21 |
| გალათასარაი | 14 | 7 | 7 | 1152:1202 | 21 |
| ბეშიქთაში | 14 | 6 | 8 | 1086:1151 | 20 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 5 | 9 | 1107:1081 | 19 |
| ითუ | 13 | 4 | 9 | 1017:1104 | 17 |
| თედ კოლეჯი | 14 | 1 | 13 | 1054:1323 | 15 |
| ბეიქოზ კოლეჯი | 14 | 1 | 13 | 927:1133 | 15 |

# დიდინმა ფაჩულიას დაბადების დღეზე ხუთი წუთი აჩუქა



ზაზა ფაჩულია

**თანაბარ** ბრძოლაში გაილია „ულქერ" — „გალათასარაის" პირველი ნახევარი. დაწინაურებულ მასპინძლებს თანაქალაქელი „ლომთალომები" მეორე მეოთხედში წამოეწივნენ და დიდ შესვენებაზე ორქულიანი დეფიციტით გავიდნენ.

მოედანს „ულქერი" იუბილარი ქართველით დაუბრუნდა. იმ დღეს ზაზა ფაჩულია 18-ის შესრულდა და რიხითაც დაერია „ლომებს". საქმე ისე აეწყო, როგორც ჩვენებურს უნდოდა. ხუთ წუთში ფაჩულიამ ოთხი ქულა და ხუთი მოხსნა მოინაგრა, რის შემდეგაც მურათ დიდინმა იგი სათადარიგოებში დააბრუნა. მასპინძლებმა დარჩენილ დროში „გალათასარაი" ფაჩულიას გარეშე მოდრიკეს და ქართველს დიდინისგან საჩუქრად სათამაშო დროის 5 წუთი შერჩა.

— მოედანზე შესვლისთანავე მივხვდი, რომ თამაშს ავაწყობდი და საკუთარ თავს დაბადების დღეზე კარგად დავასაჩუქრებდი ბოლომდე არ დამცალდა. მწვრთნელმა ხუთ წუთში გამიყვანა მოედნიდან. ამ ხნის მანძილზე მეტად აქტიური ვიყავი. მიუხედავად მცირე დროისა, ხუთი მოხსნა და ოთხი ქულა გავახერხე. ერთ მომენტში საჯარიმო გავაცუდე, მაგრამ ბურთი მოვხსენი და ერთის მაგივრად ორი ქულა მოვიპოვე. მოედანზე რომ დავრჩენილიყავი, დარწმუნებული ვარ, სეზონის საუკეთესო მატჩს ვითამაშებდი, თუმცა დიდინი ასე არ ფიქრობდა. მიუხედავად ჩვენი ცენტრების ოთხ-ოთხი პერსონალურისა, მწვრთნელმა მოედნიდან გამიხმო. რატომ გააკეთა ეს, არ ვიცი — გვითხრა გუშინ ზაზა ფაჩულიამ, როცა სტამბოლში დავუკავშირდით.

„ულქერი" თანაქალაქელ „ეფესთან" ერთად ლიდერობს. თუმცა ამ „ამხანაგობას" მალე მოეღება ბოლო. ერთი ტურის შემდეგ ამ ორის დაპირისპირება ჩემპიონატის ერთ მოწინავეს გაარკვევს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე მანამდე არ წაიფორხილა: „ულქერი" „დარუშაფაკას" მიიღებს, „ეფესი" „გალათასარაის" ეწვევა.

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ირაკლი ლაბაძე



ანა კურნიკოვა



არნო კლემანი

# ლაბაძე გერმანელთა წინააღმდეგ

## ანას ჩოგნის ქნევაც გამოუვიდა

**კოპენჰაგენი. ჰარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ კოპენჰაგენის ტურნირი გერმანელი გრემელმაიერის იოლი დამარცხებით დაიწყო. ეს კი, სხვათა შორის, ჩემპიონთა რბოლაში მისთვის მორიგი ქულის დარიცხვასაც ნიშნავს. ამ ტურნირამდე ლაბაძე მხოლოდ 90-ე იყო. მეორე წრეში იგი ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ, ასევე გერმანელ რაინერ შუტლერს შეხვდება. შუტლერი ATP-ის კლასიფიკაციაში 43-ეა, მაგრამ ლაბაძეს ეს გარემოება არ ანაღვლებს. ერთ-ერთი უცხოური სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ორიოდე კვირის წინ ბრესტის ტურნირის ნახევარფინალში თვით სედრიკ პიოლინს მოერია, გაცილებით მეტი თავდაჯერებით თამაშობს. „ვცდილობ, ყოველი ქულისთვის ვიბრძოლო", — უთქვამს ირაკლის.

შუტლერის დარად, რომელსაც შვეიცარიელი გეორგ ბასტლის მოსარჯულებლად საკმაოდ მძიმე ბრძოლა და 98 წუთი დასჭირდა. მეორე წრის საგზური პირველ ნომრად განთესილმა, მსოფლიოს 29-ე ჩოგნის მჭნეველმა და ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელმა ნახევარფინალისტმა, ჩეხმა ირჟი ნოვაკმაც მოიპოვა. იტალიელ გალვანის იგი უზადო ჩაწოდებებითა და გრძელი, ხაზიდან ხაზამდე გაშვებული დარტყმებით გაცდა.

**ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — დენის გრემელმაიერი (გერმანია) 6:3, 6:3**
**ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:2, 7:5**
**რაინერ შუტლერი (2, გერმანია) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 7:6 (7:1), 6:3**
**ოლივიე როშუ (ბელგია) — იარკო ნიმინენი (6, ფინეთი) 2:6, 6:3, 6:1**

**მარსელი. ჰარდი**
**საპრიზო 476 ათასი $**

პირტიტველა დავიდენკოს გასტუმრების შემდეგ ფრანგ ნიკოლა ესკუდეს ალბათ ტიმ ჰენმანთან დაპირისპირება ელის. საამისოდ ბრიტანელმა ვინმე ნიკოლა მაჰუს უნდა აჯობოს, რაშიც ეჭვი, როგორც ვარაუდობენ, თვით მაჰუსაც არ ეპარება.

ფრიად გაუჭირდა მეორე ფრანგ ფაბრის სანტოროს, ვისაც ATP-ის რეიტინგით 70-ე სარგის სარგსიანთან მესამე სეტში სამი მატჩ-პოინტის მოგერიება მოუხდა. სანტორო, რომელიც მარსელის 1999 წლის გამარჯვებულია, მორიგ მატჩს იოჰანსონ — რუზედსკის შორის უმჯობესთან გამართავს. ამ უკანასკნელთა ჯახს ყველა მოუთმენლად ელის — აკი, სწორედ მათ წინასაკვირაო შეხლაში გაირკვა ის, რომ დევისის თასისთვის ბრძოლას მასპინძელ ბრიტანელთა ნაცვლად შვედები გააგრძელებდნენ. ალბათ მიხვდებოდით, რომ ის შეხლა იოჰანსონის გამარჯვებით დასრულდა. შედგება თუ არა რევანში? ამ კითხვაზე პასუხი, ვინძლო, ამ სტრიქონების წაკითხვისას უკვე იცოდეთ კიდეც.

სხვაფრივ, იქნებ ტურნირის სამგზის გამარჯვებულის, ბებერი მარკ როსეს წარმატებაც აღსანიშნი იყოს. ეგ მით უფრო, რომ ფრანგი ასკიონის გასასტუმრებლად მას ორ ტაიბრეიკზე ბლლარძუნი და ათას კორტზე შეძენილი იშვიათი გამოცდილების მოხმობაც დასჭირდა.

**ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 3:6, 7:6 (13:11)**
**არნო კლემანი (საფრანგეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 6:3**
**ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:2, 6:3**
**ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:1), 1:6, 6:1**
**მარკ როსე (შვეიცარია) — ტიერი ასკიონი (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 7:6 (7:5)**

**ვინა დელ მარი. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ნიკოლა ლაპენტი (1, ეკვადორი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:4**
**ფელისის მანტია (2, ესპანეთი) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:4, 7:5**
**მარიანო საბალეტა (არგენტინა) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:4, 7:6 (8:6)**
**ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2, 6:1**
**გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:7 (6:7), 6:3, 7:6 (7:6)**

**ანტვერპენი. ხალიჩა**
**საპრიზო 585 ათასი $**

ანტვერპენის სპორტის სასახლე იმ დღეს პროჟექტორებამდე გადავსებული იყო — მშვენიერების მოტრფიალე მილეთს ანა კურნიკოვას ხილვა ეწადა. სექსანა იმ დღეს მართლაც კარგი სანახავი იყო, და, ცოდვა გამხელილი სჯობს, — არა მარტო კაცებისთვის. იმ დღეს მას ჩოგნის ქნევაც კარგად გამოუვიდა. ერთი ეგ იყო, სანამ ჯიშიან კიდურებს გაიხალისებდა, მარლენ ვაინგარტნერს უჯიგროდ ჩაწოდებული გეიმი წაართმევინა. თუმცა მერე და მერე ანა შეხურდა, თამაში მისთვის საჭირო კალაპოტში გადაიყვანა და მატჩიც კამაც-კამაც ჩაამთავრა. ტრიბუნებზე შეკრებილ მის ხვად ქომაგებს გული მხოლოდ იმაზე დაწყდათ, რომ ამ ამბავმა ძალზედ მცირე ხანს გასტანა.

ახლა რუს სექსვარსკვლავს მსოფლიოს მეორე ჩოგნის მჭნეველ დედალ ავაზასთან, ამერიკელ ვინუს უილიამსთან გაჯიბრება მოუწევს. ვაგლახ, ამ მატჩში მას ალბათ მხოლოდ ანტვერპენელთა კეთილგანწყობის იმედი უნდა ჰქონდეს. „ჰო, მასთან თამაში გაცილებით რთული იქნება. მაგრამ ცუდ ფორმაში არც მე გახლავართ. მთავარია მისი გლაჯუნა ჩაწოდებების დაბრუნება შევძლო", — ანას ამ სიტყვებზე პირველ ნომრად განთესილ ვინუსს მხოლოდ კეთილად და რამე-რუმეც ეღიმებოდა.

ვინუსის მომდევნოდ განთესილ ბელგიელ ჟუსტინ ენენს, რომელიც მის დარად ამქარს მეორე წრიდან შეუერთდება, ნორჩ თანამემამულე ელს კალენსთან შებმა მოუწევს. კალენსმა ადგილობრივ პუბლიკასა და ჯამაათს გერმანელი ანკა ბარნას ძლევით აამა.

**ანა კურნიკოვა (რუსეთი) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:2, 6:1**
**ანე კრემერი (7, ლუქსემბურგი) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:4, 6:1**
**სილვია ფარინა ელია (იტალია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:1, 6:2**
**მეილენ ტუ (აშშ) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4, 3:6, 7:5**
**ელს კალენსი (ბელგია) — ანკა ბარნა (გერმანია) 7:5, 7:6 (12:10)**
**ევა დირბერგი (დანია) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 6:1, 6:3**

**დოჰა. ჰარდი**
**საპრიზო 170 ათასი $**

**ტამარინე ტანასუგარნე (4, ტაილანდი) — ემანუელ გალიარდი (შვეიცარია) 7:5, 7:6 (7:4)**
**ალისია მოლიკი (ავსტრალია) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:4, 6:3**
**ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — ასა სვენსონი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:2**
**ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — რიტა გრანდე (6, იტალია) 6:2, 6:4**

**ლევან ძელაურაძე**






# ტაისონი ჯორჯიაში მიდის

## დიდი ბრძოლა უნდა მოხერხდეს

**ეგებ** მაიკ ტაისონი მაინც შეხვდეს ლენოქს ლუისს დიდ საჩემპიონო ბრძოლაში და ეს ამბავი ჯორჯიის ქალაქ ატლანტაში მოხერხდეს ივნისში.

ეს ამბავი გაახმაურა ჯორჯიის შტატის ათლეტთა საქმეების ადმინისტრატორმა ტომ მიშუმ: „ტაისონის მენეჯერმა ლიცენზიის მისაღები ანკეტები გამოითხოვა ჩვენგან. ჩვენც გავუგზავნეთ. მისტერ ტაისონს მათი შევსება და საკრივო ლიცენზიის ჩვენს შტატში მიღება განუზრახავს".

მას შემდეგ, რაც ნევადის ანალოგიურმა კომისიამ უარი უთხრა ტაისონს ლიცენზიის გაგრძელებაზე, აპრილში ლას ვეგასში დაგეგმილი კრივობა ჩაიშალა.

„მეინ ივენთსის" საპრომოუტერო კანტორამ, რომელიც ამ ბრძოლაში ლუისს წარმოადგენდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჯორჯიული ამბავი პირველად გაიგო.

იმავდროულად კი ატლანტის „ჯორჯია დოუმის" დარბაზმა გამოაცხადა, 8 ივნისს დარბაზი კრივს დაეთმობა და იგი 13 მილიონ დოლარად გაქირავდებაო.

ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელი იმედოვნებს, რომ ჯორჯიელი კომისრები ლიცენზიას გასცემენ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად შტატების კომისიები სოლიდარულნი არიან სხვა კომისიათა გადაწყვეტილებებისა.

გუშინ ბრიტანეთის „სქაის" ტელევიზიით ასეთი დასკვნა გამოიკვეთა: „ახლა ამ ბრძოლას მხოლოდ ტაისონზე განაწყენებული ლუისის უარი თუ ჩაშლის".

ერთ-ერთი პრობლემა ისიცაა, რომ ჯორჯიელებს საკრივო გამოცდილება არა აქვთ და იქ დიდ მებრძოლთაგან მხოლოდ იქაურსავე ევანდერ ჰოლიფილდს თუ უკრივია.

ყოველ შემთხვევაში, ტაისონმა ნაბიჯი გადადგა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ვერელებმა მოსკოვში საქმე მოაგვარეს

**დღეს** საქართველოში საწყლოსნო სახეობების მიმდევრები დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. ვერ დაიკვეხნიან ცნობილ მიზეზთა გამო და ამიტომაცაა, ესა თუ ის სპორტსმენი, რომელიც აქ თავს გამოიჩენს, საერთაშორისო ტურნირებზე ოდენ მონაწილეობას სჯერდება და შეჯიბრებას უსახელოდ ამთავრებს.

წყალბურთი, საქართველოში ერთ დროს პოპულარული სახეობა, დღევანდელი დუხჭირი ყოფის გამო ლამის სულს ღაფავს. მაგრამ არის ასეთი კლუბი, „ლაგუნა-ვერე", რომელიც იმასაც ახერხებს, რომ არ „დაიხრჩოს" და უცხოეთშიც რიგიანად გამოდის. აგერ, ახლახანაც „ლაგუნა-ვერე" ორი გუნდით ეწვია მოსკოვს, სადაც „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში რუსეთის ღია პირველობა დაიწყო. „ლაგუნა-ვერეს" მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ ჩრდილოეთში 1984 და 86 წლებში დაბადებული ჭაბუკები წაიყვანა. უფროსმა ვერელებმა რვაგუნდიან ჯგუფში, მიკერძოებული მსაჯობის მიუხედავად, მეოთხე ადგილი დაიკავეს და ფინალურ ეტაპს უწიეს. ჩვენი წყალბურთელები ჯერ მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდს და ცსკ-ს დაუზავდნენ, (8:8; 5:5) მერე დაამარცხეს ჩელიაბინსკის (5:4) და ვოლგოგრადის (3:1) ნაკრებები, რასაც მოსკოვის „დინამოს" (3:2) და „სპარტაკ-ლუკოილის" (5:2) ძლევა მოაყოლეს. ბოლო, უკვე არაფრისმომცემი შეხვედრა კი მასპინძელ „ბურევესტნიკთან" 2:4 დათმეს.

უფროსების დარად უმცროსებმაც ფინალური ეტაპისკენ გაიკვლიეს გზა.

ფინალურ ტურნირში ექვსი გუნდი მოიყრის თავს. ჯგუფური მატჩების შემდეგ ოთხი საუკეთესო ნახევარფინალებში დაწყვილდება და გამარჯვებულები ფინალში გაარკვევენ ურთიერთობას.

„ლაგუნა-ვერეს" 18-წლამდელები ამ შეჯიბრებაში 20 აპრილს ჩაებმებიან, 16-წლამდელები კი მოგვიანებით, 2 მაისს. ჩვენებურების მწვრთნელებს, სოსო მაისურაძეს და ირაკლი კიკალიშვილს განსაკუთრებით უმცროსებისა ეიმედებათ, ამ ასაკში უეჭველად ვიჩემპიონებთ, აი, 18-წლამდელები კი ფინალში უნდა გავიდნენო.

**ბაჩო სვანიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

თხილამურობა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ბენტე სკარი მეორე იყო, ვინც რუსებს პირში ჩალა გამოავლო

# ბატონებო, ამ ჭიქით ნამდვილ ქალებს გაუმარჯოს!

## კოხტა ბენტემ ოლგა-ლარისა-იულიას ჩაუქროლა

**ქალები**

10 კმ კლასიკური

**პირველი** სტარტის ცივი შხაპის შემდეგ რუს მოთხილამურე ქალთა გუნდი 10 კილომეტრზე რევანშის ალებას შამპანურის შხაპის აკომპანიმენტით აპირებდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ 15 კილომეტრზე ასპარეზობისას ჩემპიონებით სავსე რუსულმა გუნდმა ვერაფრით შეძლო მინიატურული იტალიელის სტეფანია ბელმონდოს შეჩერება. გუშინ ოლგა დანილოვას, ლარისა ლაზუტინას, იულია შეპალოვასა და ოლგა ეგოროვას ერთადერთი პრობლემა ნორვეგიელი ბენტე სკარის დაჩაგვრა იყო. ვიზუალურ შთაბეჭდილებას თუ მივენდობით, ეს არც ისე რთული ამოცანა გახლდათ. ბენტე სკარი და საერთოდ მისი ყველა თანაგუნდელი ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებული და მოთხილამურე ქალის არცთუ სასიამოვნო სტერეოტიპის სრული ანტიპოდია. მეორე კილომეტრზე საშამპანურო ზეიმის პერსპექტივა საკმაოდ მკვეთრად გამოიკვეთა — ოლგა დანილოვა უკვე 15 წამს უგებდა ნორვეგიელს. უკეთესი შედეგი ჰქონდათ ლარისა ლაზუტინასა და იულია შეპალოვას. ბელმონდო წინა სტარტის სასტიკი ბრძოლის შემდეგ, როგორც ჩანს, უფრო ძალების აღდგენაზე ზრუნავდა და რუსებისა და ნორვეგიელის დავაში არ ჩარეულა.

მე-5 კილომეტრზე ვითარება არ შეცვლილა — ეს არის, დანილოვამ კიდევ ერთი წამით გაზარდა სხვაობა და შამპანურით ზეიმის კონტურებმა ერთობ რეალური მოხაზულობა შეიძინა.

ფინიში ერთი-მეორის მიყოლებით გადაკვეთეს ეგოროვამ, შეპალოვამ, დანილოვამ და ლაზუტინამ. ამათგან საუკეთესო დრო ეგოროვას ჰქონდა, მხოლოდ წამი წააგო შეპალოვამ, მესამე პოზიცია დაიკავა ლაზუტინამ! ისე ჩანდა, მთელი კვარცხლბეკი რუსებს უნდა დაეკავებინათ.

მაგრამ როცა სტადიონის მისადგომებთან ნორვეგიელი გამოჩნდა, შამპანურით ქეიფი სათუოდ იქცა. და აი, ბენტე სკარი ფინიშის სწორზეა. ჯერ ლაზუტინამ ჩაიქნია ხელი დაკარგული ბრინჯაოს მედლის გამო, მერე...

მერე იყო კოხტა ბენტეს საოცარი ემოციები, თანაგუნდელთა გახარებული სახეები და ნორვეგიული დროშების ფრიალი...

არა, მართლა სასიამოვნოა იმის ყურება, როგორ იმარჯვებენ ნამდვილი ქალები.

**ირაკლი ბერიაშვილი**

| | |
|---|---|
| 1. ბენტე სკარი (ნორვეგია) | 28.05,6 |
| 2. ოლგა დანილოვა (რუსეთი) | 28.08,1 |
| 3. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) | 28.09,9 |

# პაწია ერის სენსაცია

## რაც კარგები ვართ, ესტონელები ვართ!



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ანდრუს ვეერპალუ

**ვაჟები**

15 კმ კლასიკური

**ესტონეთი** მოსახლეობით ჩვენზე სამჯერ პატარაა და რაც არის, თითქმის ნახევარს რუსები შეადგენენ, მაგრამ ამ პაწია ერმა სწორედ გუშინ ისეთ სიმაღლეს მიაღწია ზამთრის ოლიმპიადაზე, ბევრ გოლიათ ქვეყანას არ დაესიზმრება.

იგულისხმება ვაჟთა კლასიკური თხილამურობა 15 კილომეტრზე რომელშიც შვედი პერ ელოფსონი სულ უმედლოდ დარჩა და ვერც ფავორიტმა ნორვეგიელებმა ნახეს დიდი ხეირი. ესტონელმა ანდრუს ვეერპალუმ მთელი გაკვალული გზის გავლას 37 წუთი და 7,4 წამი შეალია და მოზრდილი დროით აჯობა ნორვეგიელ ფროდე ესტილს, რომელმაც თავის მხრივ, სულ 7,4 წამით გაუსწრო ესტონელსავე იააკ მაეს.

მილიონნაკლული ერისთვის ერთ დღეს, ერთ სახეობაში ოქროს და ბრინჯაოს მედლები! რა ცოტანი არიან ესტონელები!...

| | |
|---|---|
| 1. ანდრუს ვეერპალუ (ესტონეთი) | 37.04,4 |
| 2. ფროდე ესტილი (ნორვეგია) | 37.43,4 |
| 3. იააკ მაე (ესტონეთი) | 37.50,8 |

# უძილო ქალის წამალი კაცი კი არა, ოქროა!

**ისტორიაში** პირველად ფრანგმა ქალმა ოლიმპიური სწრაფდაშვება მოიგო. კაროლ მონტიემ დასძლია სტრესი და თვით იზოლდე კოსტნერს და რენატე გოეშლს გაუსწრო.

ეს მოხდა კურორტ სნოუბეიზინის ახლო ფერდობზე, სადაც ქარბუქის გამო წინადღეს გადადებული სწრაფდაშვება გაიმართა. ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ფრანგთა მედროშემ ერთობ ზუსტად და მონდომებით ისრიალა, რაც თავად გაუკვირდა, წინა რამდენიმე დღის მანძილზე გულს რაღაც შემოსწოლოდა და აბურძგნული დაიარებოდა. მონტიემ გააცდინა ოლიმპიადისწინა მსოფლიოს თასის ეტაპი შვედურ არეში და როცა ფრანგთა მთელი ნაკრები კლდოვან მთებში პრეოლიმპიური მზადებისთვის შეიკრიბა, ჩვენი გმირი სან დიეგოში იყო ბოიფრენდთან, ეგებ იმან დამამშვიდოსო.

ვერც სან დიეგომ გაჭრა. სოლტ ლეიკ სიტიში მყოფი მონტიე უძილობას უჩიოდა და აფორიაქებდა ფრანგთა მთელ დელეგაციას, რადგან რეჟინ კავანიეს ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ სწორედ ეს მანდილოსანი გახლავთ სათხილამურო ნაკრების „დედიკო". მოკლედ, სტარტისწინა სიტუაცია არცთუ სახარბიელო იყო.

„პირველი საწვრთნელი სრიალის შემდეგ სულ არაფრის იმედი მქონდა — უთხრა 28 წლის მონტიემ ჟურნალისტებს, როცა პოდიუმიდან ჩამოვიდა — მაგრამ მწვრთნელები ერთგულად დამეხმარნენ და როცა კვლავ გავილიმე, მივხვდი, რომ რაღაცა სასიკეთოდ შეიცვალა".

წამის მეასედებისთვის ბრძოლა მონტიეს გამარჯვებით დამთავრდა, პლუს ამას ფრისტაილში რიშარ გაეს ბრინჯაო და ფრანგები მე-5 ოლიმპიური დღეს ძლიერ კმაყოფილები დარჩნენ, ახლა ყველა ჯურის თითო მედალი აქვთ. ეს კმაყოფილება დელეგაციის სახელით ჟურნალისტებს საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ანრი სარანდომ გამოუცხადა.

„ახლა ზეიმისთვის არ მცხელა — ამბობს ერთობ მაღაზე მოსული მონტიე — სუპერგიგანტშიც კარგი შანსები მაქვს".

სამთო თხილამურობა

**ქალები**

სწრაფდაშვება

| | |
|---|---|
| 1. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) | 1.39,56 |
| 2. იზოლდე კოსტნერი (იტალია) | 1.40,01 |
| 3. რენატე გოეშლი (ავსტრია) | 1.40,39 |



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კაროლ მონტიე საფრანგეთის ღირსებისთვის სანაქებოდ გაისარჯა

ციგურაობა

# ქალა, გრაცია, კომბინაცია

## ფიცრანდოლფმა ამერიკას სპრინტი დაუბრუნა

**ვაჟები**

500 მ

**„22 წლის** წინ 5 წლის ბიჭუნა თვალებგაფართოებული მიშტერებოდა ტელევიზორს, სადაც ერიკ ჰეიდენი ციგურაობის დისციპლინებს მიყოლებით იგებდა ლეიკ პლესიდის ოლიმპიადაზე. იმ დღესვე კეისი ფიცრანდოლფმა მშობლებს გამოუცხადა, ნუ დაგყავართ ჰოკეიზე, ციგურაობა მინდაო და ტრეკზე გადაინაცვლა" — პათეტიკურად დაიწყო სააგენტო „როიტერმა" თავისი რეპორტაჟი სოლტ ლეიკ სიტიდან, სადაც ოლიმპიურ ოვალზე ორდღიანი სპრინტი გაიმართა 500 მეტრზეი.

500 მეტრი ერთადერთი დისციპლინაა ციგურაობაში, რომელიც ორ ეტაპად ტარდება. ამერიკელებმა ამ საქმეში ოქროს მედლის გემო დიდი ხნის წინ დაივიწყეს. 1980 წელს ნახსენებმა ჰეიდენმა ლეიკ პლესიდის ოლიმპიადაზე რომ ციგურაობის ხუთივე სახეობა მოიგო და მათ შორის 500 მეტრი, იმის მერე იანკებს ამ დისტანციის ოლიმპიური ჩემპიონობა არ ღირსებიათ.

პირველი დღის შემდეგ ფიცრანდოლფი დაწინაურდა, ამდენად, მეორე დღეს ორმაგად ნერვიულობდა — შენარჩუნება მიღწევაზე ძნელი საქმეა. ჩინებულ ფორმაში იყო იაპონელი ჰიროუში შიმიცუ, მეორე დღეს მაინც და ამერიკელმა მას ჯამში სულ 0,03 წამი მოუგო. ფიცრანდოლფი მე-6 ამერიკელი გახლავთ, ვინც 500 მეტრის ოლიმპიური ოქრო დაინაჩუნა. აი, სხვების ვინაობა წლებთან ერთად: ჩარლზ ჯიუტროუ (1924), ჯონ ში (1932), კენეტ ანრი (1952), ტერი მაკდერმოტი (1964), ერიკ ჰეიდენი (1980).

„ციგურაობა მსოფლიოში საუკეთესო სპორტია — აღფრთოვანებით დაასკვნა ფიცრანდოლფმა — ის ხელოვნების, გრაციისა და ძალის დიდებული კომბინაციაა და დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ჰეიდენის ყურებისას ვოცნებობდი, დღეს ოცნება ამიხდა".

**დავით გულუა**

| | |
|---|---|
| 1. კეისი ფიცრანდოლფი (აშშ) | 69,23 |
| 2. ჰიროიასუ შიმიცუ (იაპონია) | 69,26 |
| 3. კიპ კარპენტერი (აშშ) | 69,47 |



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

კეისი ფიცრანდოლფმა ოქროს მედალი და მეუღლის ვნებიანი კოცნა დაიმსახურა

ფიგურული სრიალი

# პლუშენკო მოსრიალებულა

## მურვანიძეს მხოლოდ სახელოვანი ხალხი უსწრებს

**მსოფლიოს** ამჟამინდელ რუს ჩემპიონ ევგენი პლუშენკოს ამიერიდან კარგად ეცოდინება ერთი უძველესი საფიგურსრიალო სიბრძნე: მხოლოდ მოკლე პროგრამით ოქროს ვერასოდეს მოიგებ, წაგება კი იოლად შეიძლება.

ტურნირის უმთავრესმა ფავორიტმა ოლიმპიური ოქრო გუშინწინ სწორედ ეგრე იოლად დათმო, როცა ერთი, არცთუ რთული კომბინაციის შესრულებისას უეცრად ყინულზე გაიშხლართა... ისევ მისი გამორჩეული ოსტატობისა და დახვეწილი პროგრამის გამო, თორემ ასეთი იაღლიშის შემდეგ მეოთხე ადგილზე გასვლა, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა.



ევგენი პლუშენკოს ეს „ილეთი“ ალბათ ოქროდ დაუჯდება

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

პლუშენკოს მისმა თანამეჯილაგემ, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა (1998-2000) ალექსეი იაგუდინმა, იაპონელმა ტაკეში ჰონდამ და ამერიკელმა ტიმოთი გიობელმა აჯობეს.

იაგუდინი უკვე რამდენიმე წელია, აშშ-ში ვარჯიშობს და იქაური მაყურებლის გულის მოგება ამიტომაც არ გასჭირვებია, თუმცა მის მიერ 2 წუთისა და 40 წამის განმავლობაში ნაკუდრაჭევსა და ნათითლიბაზევს ამერიკულის კი არა, რაგინდარა ყინულის გაღნობა შეეძლო.

„პირველი დახტომისას, ცოტა არ იყოს, შევყოყმანდი, მაგრამ მერე ყველაფერი გლუვად და რილო-ჭრელოდ წავიდა“ — თქვა იაგუდინმა ნასრიალევს.

მისგან განსხვავებით პლუშენკომ ყინული მღუმარედ დატოვა. ღლევანდელი თავისუფალი პროგრამებისას მას მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენს, რომლის დროსაც იაგუდინი საშინლად ჩაფლავდება, ხოლო თავად სულ ექვსიანებს მიიღებს.

სიხარულიძისა და ბერეჟნაიას სკანდალური გამარჯვების შემდეგ სასწაულისა იქ ალარავის სჯერა.

ჩვენდათავად კი ჩვენ ჩვენებური ვახტანგ მურვანიძის ამბავი უფრო გვაინტერესებს. ამ მხრივ ვითარება ასეთი გახლავთ: მოკლე პროგრამის შემდეგ ვახტანგი (29 კაცში) მე-18 ადგილზეა და თუკი თავისუფალს ოდნავ უკეთ შეასრულებს, ევებ რამდენიმე ადგილითაც აინაცვლოს.

სხვა მეტ-ნაკლებად სახელიან მეფიგურსრიალეთა შორის ჩვენებურს თავის მეოთხე ოლიმპიადაზე მოსრიალე, 1994 და 1998 წლების ოლიმპიადების ვერცხლისმედალოსანი კანადელი ელვის სტოიკო (მე-7), ორგზის მსოფლიოს მესამეადგილოსანი ამერიკელი მაიკლ უაისი (მე-8) და მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონი ამერიკელი ტოდ ელდრიჯიც უსწრებენ (მე-9).

**ბონდო გუდაური**

### ვაჟები

მოკლე პროგრამა

1. ალექსეი იაგუდინი (რუსეთი)
2. ტაკეში ჰონდა (იაპონია)
3. ტიმოთი გიობელი (აშშ)

—

18. ვახტანგ მურვანიძე (საქართველო)

## წუხელ

### ტრამპლინიდან ხტომა

ლ-120 ინდივიდუალური

1 სიმონ ამანი (შვეიცარია) 281,4 ქულა
2 ადამ მალიში (პოლონეთი) 269,7
3 მატი ჰაუტამაეკი (ფინეთი) 256

### სამთო თხილამურობა

ვაჟები

კომბინაცია

სწრაფდაშვება + სლალომი

1 კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 3.17,84
2 ბოდე მილერი (აშშ) 3.17,84
3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 3.18,26

### ბიათლონი

ვაჟები

10 კმ სპრინტი

1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 24.51,3
2 სვენ ფიშერი (გერმანია) 25.20,2
3 ვოლფგანგ პერნერი (ავსტრია) 25.44,4

ქალები

7,5 კმ სპრინტი

1 კატი ვილჰელმი (გერმანია) 20.41,4
2 უშლი დიზლი (გერმანია) 20.57
3 მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 21.20,4



ოქრო კატი ვილჰელმს, ბრინჯაო მაგდალენა ფორსბერგს

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

### ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 5 | 2 | 10 |
| გერმანია | 3 | 5 | 1 | 9 |
| ავსტრია | 1 | 1 | 7 | 9 |
| ნორვეგია | 5 | 3 | 0 | 8 |
| რუსეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| კანადა | 0 | 1 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| შვედეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

ჰოკეი

# გერმანული ჰოკეი მერსედესი არ არის, მაგრამ სლოვაკეთიც მიჭეჭყა და ლატვიაც

A ჯგუფი

**გერმანია 4:1 ლატვია 2:1 2:0 0:0**

არტურს ირბე ჯადოქარი როდია. მართომ ლატვიის ნაკრების მომდევნო ეტაპზე გაყვანა ვერ მოახერხა. კაროლინადან სოლტ ლეიკ სიტიში სულ ახალჩაფრენილი იქაურ ყინულს ხეირიანად არც გაშინაურებოდა, რომ მის კარში ორი გოლი გავიდა. თუმცა თავად არც ერთში არ მიუძღოდა ბრალი. უბრალოდ, გერმანელებმა სასტარტო შტურმით დააბნიეს ბალტიისპირელთა დაცვა და მათი შეცდომები ოსტატურად გამოიყენეს. გაოგნებულმა ლატვიელებმა მაინც შეძლეს გონს მოსვლა და ერთი ხანობა ინიციატივაც იგდეს ხელთ. საბოლოოდ ალექსანდრ ნიჟივიის ჩინებული გარღვევის და პასის შემდეგ აიგარს კიპრუსმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ როგორც კი მეორე პერიოდი დაიწყო, იგივე განმეორდა — კვლავ გერმანელებმა იძალეს, თანაც, შეცდა ლატვიელთა მცველი ოლეგ სოროკინი: მისი არაზუსტი პასი შტეფან უსტორფმა ჩაჭრა და ანგარიში 3:1 გახადა. 34-ე წუთზე კლაუს კატანის გატანილმა გოლმა მთლად დაასამარა ბალტიისპირელთა იმედები, გერმანელებმა კი პირველ ეტაპზე სამივე მატჩი მოიგეს და გრანდებს შეუერთდნენ.



ასე გაჭყლიტეს გერმანელებმა ალექსანდრ ნიჟივიისი და მისი ლატვია

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

**სლოვაკეთი 2:3 ავსტრია 1:1 1:1 0:1**

მტრისას, ასეთი შერცხვენა — სლოვაკებმა ავსტრიასაც კი ვერ მოუგეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. თუმცა თავის მართლება იმით შეუძლიათ, რომ ამ მატჩში ნჰლ-ის ლეგიონერები ვერ დაიხმარეს და მხოლოდ 13 ჰოკეისტით ითამაშეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 10:3 | 6 |
| ლატვია | 1 | 1 | 1 | 11:12 | 3 |
| ავსტრია | 1 | 0 | 2 | 7:9 | 2 |
| სლოვაკეთი | 0 | 1 | 2 | 8:12 | 1 |

### ქალთა ტურნირი

B ჯგუფი

აშშ 10:0 გერმანია 2:0 4:0 4:0
ფინეთი 4:0 ჩინეთი 0:0 2:0 2:0

NHL რეგულარული ჩემპიონატი



სანხოსელ ევგენი ნაბოკოვს შაიბა გაუძვრა

REUTERS ედმონტონიდან

# უმცირესობაზე ცუდი არ წამოგცდეთ!

12 თებერვალი

**ბუფალო 2:2 ნიუ ჯერსი 1:0 0:1 1:1 0:0**

1:0 აფინოგენოვი (17), 1:1 არნოტი (35), 1:2 მეძენი (43), 2:2 პაიეტი (59)

ნიუ ჯერსის ბოლო მატჩებში ბედი არ სწყალობს. წესით, უკანასკნელი ოთხი მატჩი გამოკეთებულ „ეშმაკებს“ უკლებლივ უნდა მოეგოთ, მაგრამ უკვე მეორედ ბოლო წუთებზე გაუშვეს გამარჯვება ხელიდან.

**კოლუმბუსი 3:3 მინესოტა 2:1 0:1 1:1 0:0**

1:0 კლესლა (5), 1:1 ვოლტოკი (17), 2:1 სანდერსონი (19), 2:2 მარშალი (33), 3:2 ქუინტი (43), 3:3 ვოლტოკი (58)

ეს გუნდები მეორე სეზონია, ლიგაში ასპარეზობენ და ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგით ჯერჯერობით მინესოტა გამოირჩევა: 6 მატჩში 4 მოგება და 1 ფრე, თუმცა ამჯერად სტუმრებმა მატჩის მიწურულსღა იხსნეს თავი.

**ოტავა 5:1 პიტსბურგი 2:0 2:1 1:0**

1:0 ბონკი (15), 2:0 მაკიჩერნი (19), 3:0 მაკიჩერნი (24), 3:1 ბიჩი (35), 4:1 ჰერბერგერი (40), 5:1 ხარა (57)

**ფილადელფია 0:1 აილენდერსი 0:0 0:0 0:0 0:1**

0:1 პეკა (65)

დროა, აილენდერსმა ლიგას თხოვნით მიმართოს, რათა უმცირესობაში თამაშის ნება დართონ.

მაიკ პეკას მიერ უმცირესობაში გატანილი გოლი ნიუიორკელთათვის მე-16 გახდა ამ სეზონში.

**ნეშვილი 1:0 ფლორიდა 1:0 0:0 0:0**

1:0 არხიპოვი (5)

ფილადელფიური თამაშისგან განსხვავებით, ამ მეტოქეებმა ძირითად დროში მაინც მოახერხეს ერთადერთი გოლის გატანა. შესაძლოა, ნეშვილის მეკარე მაიკ დანემის შათაუტმა მას აშშ-ს ნაკრებში პირველი გოლკიპერის პოზიცია მოუტანოს.

**სენტ ლუისი 3:0 ატლანტა 1:0 1:0 1:0**

1:0 სტილმანი (8), 2:0 უეიტი (36), 3:0 ნეში (44)

დღის კიდევ ერთი შათაუტი სენტლუისელმა ბრენტ ჯონსონმა მიითვალა, რომელსაც საამისოდ მხოლოდ 1 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

**ფინიქსი 4:3 კალგარი 1:1 1:1 1:1 1:0**

1:0 ბრირი (16), 1:1 ნიკოლი (17), 1:2 კონროი (28), 2:2 ლენგკოუ (38), 3:2 მარკოვი (58), 3:3 იგინლა (60), 4:3 ბრირი (61)

ფინიქსის ლიდერად ქცეულმა დანიელ ბრირმა ძირითად დროში დაშვებული შეცდომა, რომელიც ჯეროშ იგინლას გოლით დასრულდა, ოვერტაიმის პირველივე წუთზე გამოისყიდა. მან მცველს ოსტატურად აართვა შაიბა და არანაკლებ ლამაზად მეკარე რომან ტურეკს გაუმკლავდა.

**ედმონტონი 2:3 სან ხოსე 1:0 0:2 1:1**

1:0 ჰორკოფი (16), 1:1 რიჩი (29), 1:2 სელიანე (38), 1:3 მარვი (47), 2:3 მეხტი (51)

**ვანკუვერი 1:2 ბოსტონი 0:1 0:0 1:0 0:1**

0:1 მიურეი (4), 1:1 ბერტუტო (65), 1:2 მიურეი (55)

ცხრამატჩიან დღეს 5 ოვერტაიმი დაფიქსირდა, აქედან 3 შედეგიანი გამოდგა, მათ შორის ვანკუვერულიც: ბოსტონელმა გლენ მიურეიმ დამატებით დროში დუბლი გააფორმა, მისი გუნდი კი ალმოსავლეთის ლიდერ ფილადელფიას გაუტოლდა.

**სამველ ლარიბიანი**


REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდია — ინგლისი. ბრიტანელებმა დარიუს ვასელის ეფექტური გოლით გაათანაბრეს


REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

გერმანია — ისრაელი. მიროსლავ კლოზეს გოლი და ყირამალა


REUTERS პარიზიდან

საფრანგეთი — რუმინეთი. ზინედინ ზიდანს კრისტიან კიცუ ჩამოკიდებია

## ამხანაგური მატჩები

**ირლანდია 2:0 რუსეთი**

1:0 რიდი (3), 2:0 რობი კინი (20)
ირლანდია: გივენი (დ. კელი 46), ფინანი (მაკატი-რი 67; ნ. ქუინი 90), ჰარტი (სტონტონი 67), ო'ბრაიენი (ბრინი 46), კანინგემი (რ. დანი 46), როი კინი (ჰოლანდი 85), რიდი (გ. კელი 46), ჰილი (კარსლი 46), დაფი (კ. მორისონი 46), რობი კინი (სადლიერი 67), კილბეინი (მ. კენედი 46)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
რუსეთი: ნიგმატულინი, კოვტუნი, ნიკიფოროვი (ჩუგაინოვი 66), ხლესტოვი (დაევი 90), ალენიჩევი (სემაკი 71), ხოხლოვი (იზმაილოვი 53), ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)
48 000 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 0:0 ალბანეთი**

ალბანეთი: ბექაი, ლალა, ნ. დედე, ჩიპი, ჯუმბა (ფაკაი 46), ჰასი, ა. ჰაჯი, ბელაი, დურო, ბოგდანი (ალიაი 66), ტარე
მწვრთნელი: სულეიმან დემოლარი

**ხორვატია 0:0 ბულგარეთი**

**საბერძნეთი 2:2 შვედეთი**

**საუდეთი 0:1 დანია**

**პოლონეთი 4:1 ჩრდ. ირლანდია**

**ბელგია 1:0 ნორვეგია**

**ჰოლანდია 1:1 ინგლისი**

**გერმანია 7:1 ისრაელი**

**უელსი 1:1 არგენტინა**

**საფრანგეთი 2:1 რუმინეთი**

**იტალია 1:0 აშშ**

**ესპანეთი 1:1 პორტუგალია**

**ლიხტენშტაინი 0:1 ფარერები**

### ახალგაზრდულები

**საფრანგეთი 5:1 ბელგია**

**სირია 1:1 უკრაინა**

**ხორვატია 0:0 ბულგარეთი**

## ინგლისი

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**კემბრიჯი 0:1 პორტ ვეილი**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**დანდი 2:2 დანფერმლაინი**

1:0 რაე (3), 2:0 კაბალიერო (6), 2:1 ს. ტომსონი (47პ), 2:2 ნიკოლსონი (90)
დანდი: სპერონი, სმიტი, ბეგეტო, დელ რიო, ფ. ტორესი, ნემსაძე, რაე, არტერო, მილნი (რობერტსონი 85), კაბალიერო
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
მსაჯი: იანგი
6 043 მაყურებელი

## როტმანსის თასი

### III ტური

**ლიტვა 0:3 იორდანია**

**მალტა 3:0 მოლდოვა**

## ოთხთა ტურნირი

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**შვეიცარია 2:1 უნგრეთი**

1:0 მანინი (53), 2:0 ჰ. იაკინი (56), 2:1 დიობეში (81)
შვეიცარია: ბორერი, ცელვეგერი (მაცარელი 46), ბერნერი, მ. იაკინი, პ. მიულერი (ცვისიგი 55), ვიკი, სფორცა (დი ჯორჯიო 77), მანინი, ჰ. იაკინი, ფოგელი (სელესტინი 56), ნკუფო (კაბანასი 64)
მწვრთნელი: იაკობ კუნი

### ფინალი

**კვიპროსი 3:4 ჩეხეთი**

## კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 13 თებერვალი

### A ჯგუფი

**შარლერუა 100:91 ალბა**

**უნიკახა 65:66 შლიონსკი**

### C ჯგუფი

**ბუდუჩნოსტი 110:97 ზადარი**

### D ჯგუფი

**ურალ გრეიტი 94:88 ტაუ**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვატა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge